პროლეტარიანებო ყველაფერ ქვეყნისა, მოერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ⁂ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
წელიწადში წერილის ფასი: მუშა-მოსამსახურეთა —65 კ., დაწერ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. ცალკეა ფასდება: ნომპარელის ტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კ 3). გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს.

დღიური

— ზემო სილეზიაში (პოლონეთი) გაფიცვა დაიწყო.
— ბრაზილიაში აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს ხანგრძლივი ბრძოლა გრძელდება.
— მოსკოვში გაიმართა იმპერიალისტურ ომში მონაწილეობის მიტინგი.
— ამერიკის მთავრობა სპარსეთისაგან დაკმაყოფილებას მოითხოვს ამერიკის კონსულის მოკვლის გამო.
— ირლანდიამ თავისი წარმომადგენელი დანიშნა ამერიკაში
— საბერძნეთში შესდგა ახალი მთავრობა.

№ 170 (1025) სამშაბათი, 29 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 170 (1025)

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
დღეს, 29 ივლისს, საღამოს 6 საათზე სამდივნოში იწვევს
საქ. კომ. პარტ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის
სხდომას
პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატათ დასწრება სავალდებულოა.
თბ. კომიტ. მდივანი—**რუბენი.**

საწარმოო თათბირები და კონფერენციები

ამასწინათ მოსკოვში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწვეულმა საწარმოო თათბირმა ამხ. ძერჟინსკის თავმჯდომარეობით განიხილა საკითხი წარმოების მაქსიმალურათ გადიდების შესახებ

თათბირზე გამორკვეულ იქნა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების ნაყოფიერების გაზრდას. მთავარი მიზეზები შემდეგია: საწარმოო იარაღების დაზიანება-გაცვეთა, ნედლი მასალის დაბალი ღირსება, წარმოებათა მცირე დატვირთვა საბრუნავი თანხის სიმცირის გამო, მუშა ხელის დაბალი კეალიფიკაცია და შრომის ინტენსივობის დაცემა.

რასაკვირველია ჩვენი მრეწველობის წინ მდებარე ყველა ღაბრკოლებათა გადალახვისთვის დიდი მუშაობაა საჭირო, რომელშიდაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა, ისე ყოველმა მშრომელმა და განსაკუთრებით კი წარმოებაში ჩაბმულმა ყოველმა მუშამ.

სახელმწიფოს სათავეში დღეს მუშათა კლასი სდგას და სწორეთ ის არის უაღრესათ დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის აღორძინებით, მისი ნაყოფიერების მაქსიმალურათ გაზრდით.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა მრეწველობის ნაყოფიერების გაზრდა და მის ნაწარმოებთა მთელი მშრომელი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომათ გახდომა. საბჭოთა კავშირის ბევრ ადგილებში წელს მოუსავლიანობას აქვს ადგილი და თუ ზამები არ იქნება მიღებული, ეს ფაქტი უარყოფით გავლენას მოახდენს ჩვენი მრეწველობის განვითარებაზეც.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ კიდეც მიზნათ დაისახა მრეწველობაში ისეთი გეგმის გატარება, რომ ბაზარზე გამოშვებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები მრეწველობისა დაკლებულ ფასებში. ყოველივე ეს უნდა მოხდეს სამუშაო ხელფასის შეუმცირებლათ. რასაკვირველია, ამ გეგმის გატარება მოითხოვს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაობის გადასინჯვას და ყოველგვარ ზედმეტი ხარჯების მოსპობას.

ამასთანავე ერთად ყოველ წარმოებაში არის ისეთი დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების გაზრდას და შეუძლებლათ ხდიან სამუშაო დროის გეგმაშეწონილად გამოყენებას.

საწარმოო თათბირები, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებს მთელი მუშობა მასა, გამორკვევენ ამ მიზეზებს და დეფექტებს, რომლებიც ხელს უშლიან ამა თუ იმ წარმოების მუშობას. ისინი შესძლებენ ისეთი გეგმის გამოშუავებას, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერებას წარმოებაში და შესაძლებლად გახდის მრეწველობის ნაწარმოებთა ფასის შემცირებას.

მუშათა მასები თვით არიან დაინტერესებული წარმოების გაუმჯობესებაში და შრომის ნაყოფიერების გაზრდაში, რომელზედაც დამოკიდებულია პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე და მთელი ქვეყნის მომავალი ეკონომიური განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მუშათა მასები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ წარმოებითი პროფკავშირებში, უახლოეს მონაწილეობას იღებდენ წარმოების ხელმძღვანელობაში; პროფკავშირები წარმოებით ფუნქციებსაც ასრულებდენ.

ახალი ეკონომიური პოლატიკის გამოცხადებიდან პროფკავშირები თან დათან ჩამოსცილდენ წარმოების მოწესრიგების და ხელმძღვანელობის საქმეს. პროფკავშირების ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა შრომის უფლებების დაცვისკენ, მაგრამ სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი მუშათა კლასი, ცხადია, ვერ დაკმაყოფილდებოდა მარტო ტარიფების და სამუშაო ხელფასის საკითხებით ის უაღრესათ დაინტერესებულია თვით წარმოების და მთელი მრეწველობის მდგომარეობით, მისი გაუმჯობესებით მუშათა მასების დაკვირვებით და გამოცდილების აზრს წარმოებაში ამა თუ იმ დეფექტების გამოსწორებისათვის დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენი სამეურნეო ორგანოებისა და ადმინისტრატორების მხრივ.

საწარმოო თათბირებში მონაწილეობას იღებს მთელი მუშათა მასა თავის წარმომადგენლების საშუალებით. საქარხნო მმართველობასთან და ადმინისტრატორებთან ერთად თათბირში მონაწილეობას იღებენ ადგილკომი და კომუჯრედი. თბილისის კომიტეტის მიერ გამომუშავებულ დებულების თანახმად, სასურველია თათბირში მონაწილეობა აგრეთვე შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის და ტახნიკურ კომისიის წარმომადგენელთა, სადაც ასეთი არსებობს. თათბირის დადგენილება, თუ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენს საერთო პოლიტიკას, სახელმძღვანელოთ უნდა მიიღოს წარმოების ადმინისტრაციამ.

ამასთანავე ერთად განზრახულია საწარმოო კონფერენციების მოწვევაც, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ მრეწველობის ერთ და იმავე დარგში მომუშავე წარმოებანი, რომლებიც განახილავენ ამ დარგში არსებულ საერთო ხასიათის საკითხებს ისევე როგორც საწარმოვო თათბირები, საწარმოვო კონფერენციებიც სათათბირო ხასიათს ატარებენ, მაგრამ ამით სრულებით არ ეკარგება მნიშვნელობა მათ მუშობას. სამეურნეო ორგანოებს და ადმინისტრატორებს ევალებათ სერიოზული ანგარიში გაუწიონ საწარმოვო თათბირების და კონფერენციების აზრს და მიიღონ ის საძელმძღვანელოთ თუ ის უთანხმოებას არ იწვევს.

ამნაირათ მუშათა მასები ახლოს დგებიან წარმოების ინტერესებთან და ეს აუცილებლათ დადებით როლს ითამაშებს წარმოების ნაყოფიერების გაზრდაში. პარტიულმ მასის ორგანიზაციებმა უნდა უხელმძღვანელონ მასებს, ამ მუშობაში და მიიღონ ყველა ზომები საწარმოო თათბირების და კონფერენციებისთვის საქმიანი ხასიათის მისაცემათ.

მთლიანად აღებული წარმოების მაქსიმალურათ გადიდება,— აი ლოზუნგი, რომელიც წამოყენებულია დღეს მთელ საბჭოთა კავშირში. ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას ყველამ უნდა შეუწყოს ხელი და უპირველესად ყოველისა კი დაზგასთან მდგომ მუშებმა.

საწარმოო თათბირებში და კონფერენციებში მონაწილეობით მუშათა მასებს საშუალება ეძლევათ არა მარტო ფიზიკური შრომით, არამედ თავისი აზრით და დაკვირვება-გამოცდილებითაც ხელი შეუწყონ ამ სადღეისო ლოზუნგის განხორციელებას.

ჩვენი მასწავლებლობა

(განათლების მუშაკთა კავშირის იუბილეს გამო)

დღეს, განათლების მუშაკთა კავშირის 5 წლის იუბილეს გამო, საჭიროა თვალი გადავავლოთ მასწავლებლობის მიერ განვლილ გზას საბჭოთა ამიერ-კავკასიის ფარგლებში. ჩვენ კავშირს ჯერ კიდევ არ აქვს თავისი ისტორია ამიერ-კავკასიის ფედერაციის არც ერთ რესპუბლიკაში. ამავე დროს ჩვენი კავშირის ისტორია, არის ჩვენი ინტელიგენციის, მისი პედაგოგიური ნაწილის ისტორია, იმ მასწავლებლობის ისტორია, რომლის არმია საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში შესდგება 22—25 ათასი კაცისაგან.

როგორ შეხედა მასწავლებლობა საბჭოთა ხელისუფლებას?

მცირე ნაწილი, რომელიც აქტიურად მუშაობდა პოლიტიკურ ასპარეზზე—მტრულად. ეს ჯგუფი სცდილობდა როგორმე ჩაეშალა ჩვენი მუშობა კავშირის და ახალი სკოლის შესაქმნელად, იმის ნიცელად, რომ საქმიანი თვალსაზრისით მიდგომოდა საკითხს—იგი ეწოდა პოლიტიკანობას

ნაწილი (აგრეთვე მცირე) თანაგრძნობით შეხედა საბჭოთა ხელისუფლებას.

უნრავლესობა კი ეჭვის თვალით—უცქერდა საბჭოთა ხელისუფლებას და მოღონიერნის პოზიციაზე იდგა.

ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკაი სურათი თითქმის ერთნაირი ყო. იმ ის შიში, რომ ბოლშევიკები თითქოს ანადგურებენ კულტურას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ეს უსაფუძვლო შიში თვით ცხოვრებამ გაფანტა, აქ მაინც საგრძნობი იყო. მაგრამ არც ერთი წუთით ადგილი არ ჰქონია საბოტაჟს მასწავლებელთა მხრივ. სასკოლო ცხოვრება ამიერ-კავკასიის არც ერთ რესპუბლიკაში ერთი წუთითაც არ შეწერებულა.

ამ დროს რუსეთშიაც ვხედავდით უმიზნო საბოტაჟის ლიკვიდაციას და აღმშენებლობით მუშაობას სასკოლო დარგში.

ძალიან ჩქარა ჩვენი მასწავლებლობის ლოდინის პოზიცია შეიცვალა აქტიურ პოზიციათ. ახალი სკოლის იდეის და პრაქტიკის გაცნობის სურვილმა აიძულა მასწავლებლობა გაფაციცებით მოეკიდა ხელი თავისი გადამზადების საქმისათვის.

ამ დროს უნუგეშო მატერიალური მდგომარეობა და ხელფასის სიმცირე სრულიადაც არ ასუსტებდა მის ენერგიას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ გადამზადებაში მასწავლებლობა სიმძიმის ცენტრს ხედავდა პედაგოგიურ მხარეში. მხოლოდ უკანასკნელ წელს ჩვენი მასწავლებლობა დარწმუნდა იმაში, რომ მოთხოვნილება—„პედაგოგიური და პოლიტიკური გადამზადება ერთმანეთში უნდა იქნას გადახლართული“—და რომ საბჭოთა სკოლა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ—პოლიტიკურად მომზადებულ პედაგოგს და არა ნასწავლ სპეკს—არ იყო უბრალო ფრაზა, არამედ იგი იყო საბჭოთა სინამდვილის მოთხოვნილება. ამიტომ იგი სერიოზულად შეუდგა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თვითმომზადებას. თვითცხოვრებამ მიიყვანა იგი ამ დასკვნამდე, განსაკუთრებით სოფელში.

ძალიან ხშირად ჩვენი აღმასკომები და პარტკომები იწვევდენ მასწავლებლებს მომხსენებლებად სხვადასხვა საკითხებზე—კოოპერაციის, ანტისაწმენდრობრივ პროპაგანდის, რევოლიუციონ-უ დღესასწაულების ჩატარების და სხვ. შესახებ.

თუ ქალაქში მასწავლებელს იშვიათად უხდება გამოსვლა სოფელში, ის უნდა გამოვიდეს პირველ დაძახებისთანავე, რადგან ის იქ არის ერთად-ერთი კულტურული ძალა. კულტურულ აქტიურ მოღვაწის სახით გამოსვლა აიძულებს მასწავლებელს ხელი მოჰკიდოს თავის განვითარების საქმეს და გამოიმუშავოს განსაზღვრული მსოფლმხედველობა (რა თქმა უნდა, რევოლიუციონურ-მარქსისტული).

ჩაება რა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მასწავლებელმა მონახა თავისი ადგილი ცხოვრების საერთო აღმშენებლობაში, შეიგნო, რომ ის მოწოდებულია ემსახუროს პროლეტარიატს და გლეხს და აშკარად განაცხადა ეს თავის ყრილობებზე, კონფერენციებზე და სხვა კრებებზე. ქუთაისის და გორის სამაზრო კონფერენციების მიმართვა საქართველოს მასწავლებლობისადმი, უპარტიო მასწავლებელთა მიმართვა კომპარტიის ყრილობისადმი აზერბაიჯანში, ყრილობისათვის დროშის გადაცემა და 25 უპარტიო ამხანაგების „გადაცემა“ პარტიისათვის. რას ამტკიცებს ყველაფერი ეს?

რა თქმა უნდა პროლეტარიატის მორალურ გამარჯვებას, რომელიც მიღწეულ იქნა მისი შემოქმედებითი მუშაობით, რამაც, ამხ. ზინოვიევის სიტყვით, რომ ვსთქვათ „გამოიწვია ინტელიგენციის იდეოლოგიურად განთავისუფლება, საქმით დაუმტკიცა მას თავიდი პოლიტიკის სისწორე ეროვნულ და კულტურულ საკითხებში“ მასწავლებლობა დარწმუნდა იმაში, რომ ბოლშევიკები არიან „არა წითელი იმპერიალისტები“ არა „კულტურის გამანადგურებლები“, არამედ ახალი ცხოვრების აღმშენებლები“.

ამასთანავე მთელი თავისი მუშაობით, წასულ წლებში და პასუხისმგებლობით, მასწავლებლობამ დაიმსახურა საბჭოთა ხელისუფლების სრული ნდობა და მოიპოვა უფლება ყურადღებით მოეკიდოს მის ყოფა-ცხოვრებას საბჭოთა ხელისუფლება.

როგორი უნდა იყოს დღეს მუშობამ ასწავლებლობის შორის?

უნდა შეეისწავლოთ მისი ყოფა-ცხოვრება.

რუსეთის კომპარტიის ცეკას წერილმა 21 წელს, რომელიც მიმართული იყო პარტიულ ორგანიზაციებისადმი მასწავლებლობის შორის მუშაობის შესახებ, მიაქცია პარტიის ყურადღება ინტელიგენციის ერთ-ერთ უდიდეს რაზმისადმი.

ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ განუწყვეტლივ, (თუმცა ჯერ კიდევ ნელა) მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელიც (მასწავლებლობა) მაშინ იმყოფებოდა კატასტროფიულ მდგომარეობაში.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ბოლო დროის დადგენილება სოფლის მუშაკის ხელფასის 30 მანეთამდე აყვანის შესახებ აგრეთვე ამტკიცებს იმას, რომ „მესამე ფრონტიც“ შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების თავიარ ყურადღების საგანს.

მაგრამ, გარდა ყოფა-ცხოვრების შესწავლის და მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, პარტიამ ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იმუშაოს მასწავლებლობის შორის იმისათვის, რათა დახმარება გაუწიოს მას, შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, როგორც ქალაქში (დაახლოვება მუშებთან, კავშირი ახკომკავშირთან, კულტურული კავშირი სოფელთან და სხ.), ისე სოფელად (ანტისარწმენოებრივი პროპაგანდა, მცხოვრებთა კოოპერატიებში გაერთიანება, რევოლიუციონურ დღესასწაულების ჩატარება, წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია და მრავალი სხვა).

პარტიამ უნდა ა) მისცეს ძალები განათლების მუშაკთა კავშირის ფარგლებში მრავლად არსებულ პოლიტიკურ გადამზადების წრეებს ხელმძღვანელობის გასაწევად;

ბ) დარაზმოს კომუნისტურ პარტიის რიგებში შესვლის მსურველები იაჩეიკების ირგვლივ და აწარმოოს მათ შორის სათანადო მუშაობა;

გ) შეიყვანოს პარტიაში მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი (XIII პარტყრილობის დადგენილება).

დ) ჩაბას მასწავლებლები სხვა მშრომელებთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში უპარტიოთა ფართო კონფერენციებზე არჩევა და სხვ.)

იმ ნაბიჯების მიხედვით, რომელიც გადადგმულია მასწავლებლობის მიმართ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტია შეუდგა უკვე ლენინის ერთ-ერთ მოთხოვნილების განხორციელებას: „სისტემატიურად უნდა გავაძლიეროთ სამეურნეოზაციო მუშაობა სახალხო მასწავლებელთა შორის, რათა ბურჟუაზიულ წესწყობილების საყრდნობიდან, რომელსაც ისინი დღემდის წარმოადგენდენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გადავაქციოთ საბჭოთა წესწყობილების საყრდნობად, რათა მათი საშუალებით საბოლოოდ ჩამოვაშოროთ გლეხობა ბურჟუაზიასთან კავშირს და“ უფრო დაუახლოვოთ პროლეტარიატს.

სწორედ აქეთკენ მივდიოვართ ჩვენ. მასწავლებლობა იქნება საბჭოთა წესწყობილების საყრდნობათ—ამას ამტკიცებს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მასწავლებლობის მიერ განვლილი გზა.

დაქაქსულ ჯგუფების და მასწავლებელთა კავშირების გაერთიანების (სკოლების ტიპის, უწყებების და სხ. მიხედვით) და განათლების მუშაკთა კავშირის ის გაერთიანება უფრო ოჯახში შეყვანის შემდეგ, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის განათლების მუშაკთა კავშირები აღნიშნავენ დღეს დიდ მიღწევას მათ მიერ დარაზმულ მასებს შორის და სთვლიან თავის საიუბილეო დღეს იუბილეთ პროლეტარიატისა და გლეხობისათვის და კულტურულ ფრონტზე მის გამარჯვების დღეთ.

ს. შ.

შარა-გზების შეკეთება-გაყვანისათვის

საბჭოთა ხელისუფლების დროს აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს თვით მშრომელი ხალხი, მასსის ფართო წრეები. ეს კიდევ არაფერი. აღსანიშნავია ის, რომ საალმშენებლო საქმისაკენ ნაბიჯი იდგმება თვითონ გლეხობის მიერ, ინიციატივა, თაოსნობა ხშირად მშრომელ ფენებიდან იწყება.

ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი მაგალითი ამის დასამტკიცებლად. სანიმუშოდ ვიღებ შარა-გზების გაყვანას, გაუმჯობესებას, შეკეთებას გლეხების მიერ და მათივე საქმიანი თაოსნობით. შარშან გლეხკაცობა დიდის ხალისით გამოვიდა, ვის რით შეეძლო: ხარ-კამეჩით, ურემით, ნაჯახით, საკუთარი შრომით, და საქართველოს მასშტაბით დიდად წარმატებით იქნა ჩატარებული შარა-გზების კამპანია. ჩვენ გვაქვს შარშანდელი პრაქტიკა და გამოცდილება. უსათუოდ დიდი საქმე გაკეთდა სოფლის ადგილობრივ მკვიდრთათვის. შეკეთებულ იქნა წამხდარი გზები, გაყვანილ იქნა ახალი გზატკეცილები. ამის შესახებ წერა საჭირო არაა, საჭიროა მხოლოდ გასულ წლის საქმიანობაში უშუალოდ ჩახედვა იმ „ურწმუნო თომებისათვის“, რომლებსაც კიდევ არ სჯერათ მშრომელი გლეხობის გათვითცნობიერება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

მომდინარე საზაფხულო სეზონში კვლავ უნდა შეეუდგეთ შარაგზების შეკეთება-გაყვანას. რასაკვირველია, შარშან ხელის ერთის დაკვრით შეუძლებელი იყო საქმის საესებით დაბოლოვება. კამპანია რაღაც თვენახევარს გაგრძელდა და ამ მეტად მცირე ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო ამ დიდი ამოცანის თავიდან ბოლომდე ამოწურვა. გასულ წელს დაუმთავრებელი დაგვრჩა ზოგი გზებისა და ზოსეების გაყვანა-შეკეთება. ამ მიმართულებით გვაქვს მრავალი საგულისხმო წამოწყებანი. საჭიროა აგრეთვე ახალი წამოწყებებიც, ახალი გეგმების შედგენა და მათი თანდათანობით განხორციელება ამიტომ, სამომდგომო სამუშაოს დასრულების შემდეგ, ჩვენი შეგნებული მშრომელი გლეხკაცობა და ადგილობრივი ხელისუფლება კვლავ უნდა შეუდგეს მეტის სიმხნევით და ენერგიით სოფლებისა და თემების დაქცევას გაუმჯობესებული გზებით.

ვინ არ იცის, რომ გზების გაყვანას აქვს როგორც კულტურული, ისე ეკონომიური მნიშვნელობა. მართალია სადმე ეკონომიური ცენტრის შექმნა თავისთავად მოითხოვს ამ ცენტრისაკენ მიმავალ გზების აღმოჩენას და გაკაფვას. ეკონომიურ განვითარებას თან სდევს კარგი გზებისა და გზატკეცილების განვითარებაც. ეს უდაო ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, ჩვენში განვითარებული არაა „ეკონომიური ერთეულები“, აღებ-მიცემობა სოფლებსა და თემებს შორის. ჩვენ დღესაც უნდა შეუდგეთ „კარგი მიმოსვლის“ დამკარებას, შარშანდელივით მოვკიდოთ ხელი დაბა-სოფლების წინწაწევს საქმის შესრულებას.

ჩვენი ქვეყნის პირობებში შარა-გზების კამპანიას აქვს უაღრესად კულტურული დანიშნულება. ყოველმა გლეხმა, ყოველმა მუშამ იცის, თუ რა მნიშვნელობისა კარგი გზა სოფლის მცხოვრებისათვის. გაუმჯობესებული გზებით სოფლები უკავშირდებიან ერთმანეთს, ერთი თემის გლეხობა უეხლოვდება, ეცნობება მეორე თემის მომეე გლეხობას.

ახლა სკოლები. მოწაფეები უგზოებისა გამო სკოლებში ხშირად ვეღარ დაიარებოდნენ. პატარეების სიმაღლეზე ტალახი იდგა ზოგ სოფლებში. შარშანდელმა საქმიანობამ საქმე ცოტად თუ ბევრათ გამოასწორა, შემდეგში უნდა ვეცადოთ მის საბოლოოდ მოწესრიგებას.

კარგი გზა ახალისებს მოხუცებულ და ახალგაზრდას. არ გეშინია წვიმების, თოვლის, ტალახის. ავდარი კარგავს თავის გავლენას სოფლის ცხოვრებაზე. გლეხ-კაცი არხეინად გაიდებს მუხლზე ჯოხს და ქოხ-სიმკითხველოსა თუ კრება-მიტინგისაკენ გზას გაუდგება. ყოველივე ეს გააძლიერებს, გააღონიერებს სოფლად კულტურულ მოღვაწეობას, კულტურულ მაჯის ცემას. ზამთრობით თეატრის კარებს თემში არავინ აწყდება. იმიტომ კი არა, რომ „სეირის საყურებლად“ აღარ სცალიათ, პირიქით, სწორედ ზამთრის პერიოდშია მშრომელი გლეხობა ყველაზე უფრო თავისუფალი, „მოცლილი“. რიგიანი გზები გლეხკაცობას გამოიყვანს ქოხებიდან და კულტურულ დაწესებულებისაკენ მიიზიდავს.

ახლა წარმოიდგინეთ რა მტერია კარგი შარა-გზები ბანდიტიზმის, ქურდ-ბაცაცობის, ავაზაკობის. ქურდებსა და ყაჩაღებს ის უნდათ, რომ გზები ძალზე გაფუჭებული, გაპარტახებული იყოს. მაშინ ისინი ადვილად შესძლებენ ბოროტმოქმედებას და დამალვას, გლეხ-კაცები „წუმპეში“ ხომ ვეღარ დაედევნებიან „ღამის ფერიებს“. კარგი გზების პირობებში მოგეცათ წყალობა, უბრალო კომპალით შეიარაღებულ გლეხს შეუძლია ბოროტმოქმედის თავის გაჩერჩა და დაჭერა-დატუსაღება.

ერთი სიტყვით, შარა-გზების კამპანიის წარმატებით დასრულება მეტის მეტად სერიოზული საქმეა. შარა-გზების „შელამაზება“ საერთო ძალ-ღონით უნდა მოხდეს. მუშობის ფერხულში უნდა ჩაებას ყველა, ვინაც კი გააჩნია შრომის უნარი.

შეგნებული მშრომელი ელემენტები კოლექტიური ნებისყოფით და შეერთებული ძალ-ღონით იოლად შესძლებენ სოფლის ცხოვრების ნორმალურ განვითარების დაყოვნებას მტკიცე ნიადაგზე.

გ. მ—ლი.

მოკავშირეთა კონფერენციაზე

საფრანგეთს არ სურს მიიღოს განკიერეგის პიროგეები

ინგლისელები და ამერიკელები მოითხოვენ რურის ევაკუაციას

გერმანიის დელეგაცია ხვალ გაემგზავრება ლონდონში

ერრიო მოლაპარაკებას აწარმოებს ფრანგ ფინანსისტებთან გერმანიისათვის სესხის შესახებ

იტალიის პრესა შიმშდოთ უცქერის მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობას

ერთ ადგილზე ტკეპნა

ლონდონი 28 ივლისი. მდგომარეობა ლონდონის კონფერენციაზე უკანასკნელი დღეების განმავლობაში არ შეცვლილა. ფიქრობენ, რომ საკითხები გადაწყვეტილი არ იქნება კონფერენციის პლენარულ სხდომამდი ორშაბათს. გაჭიანურ ატყობინებიან, რომ მიუხედავად ამისა, მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებს შორის სპიტხედში მომხდარ საზღვაო აღლუმის დროს ადგილი ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას სხვა და სხვა საკითხების შესახებ.

კონფერენციის **ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნება, ალბათ, საკითხი გერმანიის მიწვევის შესახებ კონფერენციაზე,** მიუხედავად იმისა, მიღწეული იქნება თუ არა შეთანხმება ბანკირებთან. ამერიკის თვალსაზრისი ისეთია, რომ ფრანგების ცდა კონფერენციის მუშაობის შეჩერება მიაწერონ ამერიკის ბანკირების შეურიგებლობას, სრულიად უსაფუძვლოა. **ამერიკელების აზრით, კონფერენციის მუშაობის შეჩერება გამოწვეულია პარიზის და ლონდონის შეურიგებლობით.** ბრიტანეთის და ამერიკის წრეების აზრით, დადგა დრო, როდესაც საჭიროა დეტალების განხილვის შეწყვეტა და გერმანიის მიწვევა კონფერენციაზე.

იურიდიული კომისია ფიქრობს, რომ გერმანიამ ეხლავე უნდა მოაწეროს ხელი ოქმს დოუესის გეგმის მიღების შესახებ, რადგან ის ვალდებულებანი, რომელთაც აკისრებს გერმანიას ეს გეგმა, სცილდებიან ვერსალის ხელშეკრულების ფარგლებს. ფიქრობენ, რომ თუ გერმანია ეხლავე იქნება მიწვეული კონფერენციაზე, მაშინ შესაძლებელია, რომ მრავალი საკითხები გადაწყვეტილი იქნეს ბანკირებთან შეუთანხმებელათ.

რურის ევაკუაციის საკითხი

მაკდონალდის წერილი.

ლონდონი, 27 ივლისი. მაკდონალდმა დღეს მოკავშირეთა ოთხი დელეგაციის მეთაურებს მიმართა წერილით, რომელშიაც ამბობს, რომ ვიდრე მოკავშირეთა შორის არ არის მიღწეული სრული შეთანხმება, ამიტომ **გერმანია დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიწვეული კონფერენციაზე და რურის ეკონომიური ევაკუაციის საკითხი დასმული უნდა იქნეს რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხთან ერთად,** ის სურვილს გამოსთქვამს, რომ ორივე ეს საკითხი შევიდეს კონფერენციის პლენარულ სხდომის დღის წესრიგში.

ამერიკაც მხარს უჭერს რურის ევაკუაციას.

„გლოშ ტორონტო“-ს კორესპონდენტის ცნობებით, ამერიკის შეხედულება რურის სამხედრო ევაკუაციაზე ეთანხმება ინგლისის თვალსაზრისს. ამერიკის ერთ-ერთმა მეთვალყურემ კონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი აზრით, რურის სამხედრო და ეკონომიური ევაკუაცია არ შეიძლება გამოვოფილი იქნეს ერთმანეთისაგან.

მან განაცხადა: „ვსთქვათ, რომ ქალაქის ახლოს მთაზე დატოვებულია 7 ფრანგი ჯარისკაცი და აი წარმოიდგინეთ, რომ ერთ შშვენიერ დღეს 5 მათგანი მთიდან დაეშვა ქალაქში. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ უეცველათ მოხდება რაიმე ინციდენტი.

ბანკირების უკმაყოფილება

ლონდონი. 28 ივლისი. ამერიკის ბანკირები და დიპლომატები ერთნაირათ აღელვებული არიან იმ მდგომარეობით, რომელშიაც ისინი არიან ჩაყენებული. ეკვს გარეშეა, რომ მონტეგიუ ნორმანი გაცილებით უფრო მკაცრათ ეპყრობა სესხის უზრუნველყოფის საკითხს, ვიდრე ამერიკელები, ამასთანავე ნორმანის მოთხოვნილებებს—სნოუდენი. საფრანგეთი თავის მხრივ უსაყვედურებს ამერიკელებს იმას, რომ ამერიკელები სცდილობენ მხოლოდ იმას, რომ უზრუნველყონ სესხის ობლიგაციების მომავალი მეპატრონეები. მაგრამ. როგორც არ უნდა იყოს, მდგომარეობა ისეთი დაბუნდოვანებული არ არის, როგორც წინეთ იყო.

ერრიო ვერაფერს გახდა

ბანკირები, ვერმანია-ამერიკის ჯგუფიფოურთ, მხარს უჭერენ მორგანის პროექტს.

ბერლინი, 27 ივლისი. როგორც სამოლოოდ ირკვევა, საფრანგეთის **მთავრობის ყოველგვარი ცდა სარეპარაციო სესხის საქმეში ჩაებას სხვა ფინანსიური წრეები, რომლებიც ისეთ მკაცრ პირობებს არ წამოაყენებენ, როგორც მორგანი, უშედეგოდ დამთავრდა.** ყველა დიდი ბანკირები, ვერმანია-ამერიკის ჯგუფიფოურთ, მხარს უჭერენ მორგანის პროექტს.

პარიზი, 27 ივლისი. გუშინ ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა ითათბირა პარიზელ ბანკირებთან, რომლებსაც უნდა შეუერთდენ სხვა ქვეყნების სამბანკო ჯგუფები.

ერრიო მოკავშირეთა არაფერი გაკეთებდა.

ბერლინი, 27 ივლისი. როგორც სამოლოოდ ირკვევა, საფრანგეთის **მთავრობის ყოველგვარი ცდა სარეპარაციო სესხის საქმეში ჩაებას სხვა ფინანსიური წრეები, რომლებიც ისეთ მკაცრ პირობებს არ წამოაყენებენ, როგორც მორგანი, უშედეგოდ დამთავრდა.** ყველა დიდი ბანკირები, ვერმანია-ამერიკის ჯგუფიფოურთ, მხარს უჭერენ მორგანის პროექტს.

პარიზი, 27 ივლისი. გუშინ ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა ითათბირა პარიზელ ბანკირებთან, რომლებსაც უნდა შეუერთდენ სხვა ქვეყნების სამბანკო ჯგუფები.

ჯერ ვერ შეთანხმდენ

რომი. 28 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის დაუყოვნებლივ მიწვევას კონფერენციაზე ლონდონში აფასებენ, როგორც ცდას გამონახული იქნეს შემარიგებელი ფორმულა. პრესის ცნობებით, მოკავშირეთა სახელმწიფოებს განზრახავ აქვთ მოაწყონ გერმანიის და საფრანგეთის დელეგაციების უშუალო შეხვედრა იმ მიზნით, რომ გაადვილებული იქნეს შეთანხმების მიღწევა.

შაბათს და კვირას ექსპერტთა კომისიას მთელი რიგი თათბირები ჰქონდა კონდერლისა და პერეტტისთან იმ მიზნით, რომ გამონახული ყოფილიყო საკომპრომისო ფორმულა ტენინის უკანასკნელ წინადადებების საფუძველზე. ამ თათბირების შედეგები ჯერ გამოურკვეველია. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ეს ცდები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ სიჭნელეთ, რომლებიც წინ ეღობება კონფერენციას და დელეგაციების ლტოლვას მიღწეული იქნას საბოლოო შეთანხმება.

„სახლში მიიჩქარიან“

ლონდონი. 28 ივლისი. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ამერიკელთა წრეების აზრით, ინგლის-ამერიკის ბანკირებისა და ერრიოოსთვის მისაღები კომპრომისი გამონახული იქნება ალბათ ამ დღე

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა კონფერენციაზე

გერმანია კონფერენციაზე მიწვევის მოლოდინში

ბერლინი. 28 ივლისი. ბერლინში დიდის ინტერესით მოელიან მოკავშირეთა კონფერენციის დღევანდელი სხდომის შედეგებს. თუ გერმანია მიიწვევს, კანცლერი მარქსი შტრეზემანთან ერთად ოთხშაბათს გაემგზავრება ლონდონში.

ახალი კომპრომისი

ბერლინი, 28 ივლისი. იუწყებიან, რომ მაკდონალდსა და ერრიოს შორის მოხდა ახალი კომპრომისული შეთანხმება რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. განაცხადებულია, რომ საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ არ დაისმება მოკავშირეთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ საფრანგეთის კონფერენციის გარეშე დანიშნავს რურის ევაკუაციის გარკვეულ კვადას. ერრიოს მხრივ ამ დაზმობის ნაცვლად მაკდონალდი და სნოუდენი გავლენას მოახდენენ ბანკირებზე, რათა მათ წარმოადგინონ საფრანგეთისათვის მისაღები პირობები. ამჟამად ამ გეგმას იხილავს საფრანგეთის მინისტრთა საბჭო და ერრიო პასუხს მოელის კონფერენციის სხდომის გახსნამდი.

150.000 დემონსტრანტი.

ბერლინი. 28 ივლისი. მსოფლიო ომის გამოცხადების დღიდან ათი წლის შესრულების გამო, ვენაში გუშინ გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია ლოზუნგით „ძირს ომი“. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 150.000 კაცმა.

ბრაზილიის პრეზიდენტის გაქცევა.

ბერლინი, 28 ივლისი. ვალპარაიზოიდან და პარიზიდან. მიღებული ცნობებით, აჯანყებულები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარებს. ბრაზილიის სატანტო ქალაქშიც მოელიან აჯანყებას. ამის გამო რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა ევასაქციად ემზადებიან.

200 მუშის დაღუპვა

ლონდონი. 28 ივლისი. პენსილვანიის რაიონში (ამერიკა) მაღაროებში აფეთქება მოხდა. აფეთქების დროს დაიღუპა 200 მუშა, ჯერჯერობით ამოიღეს მხოლოდ 5 კაცის გვამი.

ჩვენ და უცხოეთი

იაპონიამ შეიმუშავა ჩვენი ცნობის პროტოკოლები

დაიდვა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო შეთანხმება

ნორვეგიამ დანიშნა თავისი ელჩი მოსკოვში

ამბ. რაკოვსკი მოკლე ხნით მოსკოვში ჩამოვა

იაპონია.

ფოლკპარტიების დაწყების წინ.

ტოკიო, 27 ივლისი. გაზეთების ცნობით, იაპონიის კაბინეტმა განსაზღვრა თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, შემდეგი გეგმის მიხედვით: **იაპონიას გაჰყავს თავისი ჯარები სახალინის რუსეთის ნაწილიდან, მაგრამ იგი მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირმა მიანიჭოს იაპონიას ნავთის იმ სამრეწველოების ექსპლოატაციის უფლება, რომლებიც იაპონელმა კაპიტალისტებმა შეიძინეს კუნძულის სამხედრო ევაკუაციის დრო;** საბჭოთა კავშირმა უნდა იცნოს პორტსმუტის ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო იაპონიასთან რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ; თავის მხრივ იაპონია თანამზმა გაეთანხმებულ იქნას სხვა ხელშეკრულებანი, რომელიც დადებული იყო იაპონიასა და მეფის მთავრობის შორის.

ძველი ვალების, პროპაგანდის და სხვა საკითხები უნდა იქნას განხილული სპეციალურად მოწვეულ ექსპერტთა კონფერენციის მიერ, როგორც კი მიღწეული იქნება საერთო პრინციპიალური შეთანხმება ორივე ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულება და აღდგენილ იქნება ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

იაპონიის ყველა გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ კაბინეტის პოლიტიკის მოულოდნელ შეცვლას საბჭოთა კავშირის მიმართ. მხოლოდ გაზეთი „ცუიუპაი-სიმპო“ აკრიტიკებს მთავრობას იმის გამო, რომ ის უარს ამბობს კონცესიებზე აღმოსავლეთ-ციმბირში და კმაყოფილდება მხოლოდ ნავთის კონცესიებით ჩრდილოეთ-სახალინზე.

იქულებული არიან სიმართლე აღიარონ.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. არჩევს რა საკითხს რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ, ნიუ-იორკის „ტაიმს“-ი აღნიშნავს **საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს და მისი დიპლომატების გამარჯვებებს დასავლეთ ევროპაზეი.** გაზეთის აზრით, იაპონიას ესმის საბჭოთა კავშირთან თავისი დამოკიდებულების მოწესრიგების საჭიროება.

ჩინეთი.

ამბ. კარახანის ნოტა ჩინეთისადმი.

პეკინი, 27 ივლისი. კარახანმა მიმართა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტებთა; ერთ მათგანში კარახანი სთხოვს ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობოს მას ბოქსერთა აჯანყების დროის ვალის რაოდენობა, რომელიც საბჭ. კავშირს ერგება და რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრს უნდა გადაეხადა 31 მაისის შეთანხმების ხელის მოწერამდე. მეორე ნოტაში კარახანი წარადგენდა აძლევს მინისტრს დანიშნოს ჩინელებისაგან შემდგარი კომისია ბოქსერთა აჯანყების ვალის დარჩენილ ნაწილის გასანაწილებლად. **როგორც ვიცით საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ამ ნაწილზე ჩინეთის უნივერსიტეტების სასარგებლოთ.**

ინგლისი

ამბ. რაკოვსკის გამგზავრება მოსკოვში.

ლონდონი, 27 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, რაიკოვსკი გაემგზავრა მოსკოვში, ალბათ, მოხსენების გასაკეთებლათ მოლაპარაკებაზე, რომელიც გრძელდება. **რაკოვსკის დაბრუნებას ლონდონში მოელიან 2 აგვისტოსათვის.**

პოლონეთი

საბჭოთა კავშირის და პოლონეთის რკინის გზის კონვენცია.

ვარშავა, 27 ივლისი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის რკინის გზის კონვენცია.

ნორვეგია

ნორვეგიის ელჩი მოსკოვში.

ქრისტიანია, 27 ივლისი. ნორვეგიის ელჩათ მოსკოვში დანიშნული ეხლანდელი ელჩი ჰელსინგფორსში ურბი.

მდგომარეობა პოლონეთში

გაფიცვა ზემო-სილეზიაში

რომი. 28 ივლისი. ვარშავიდან მიღებულ ცნობის თანახმად **ზემო სილეზიის სამრეწველო დაწესებულებებში მოულოდნელად გამოცხადდა მუშების გაფიცვა. გაფიცულია დაახლოვებით 34,000 კაცი.** პოლონეთის პრესამ გამოაქვეყნა ტუგუტის განცხადება, (ტუგუტის ასახელებენ გარეშე საქმეთა მინისტრის კანდიდატად), რომელსაც აქვს ჰესიმისტური ხასიათი. ტუგუტი გამოსთქვამს აზრს პოლონეთის აგრარულ, ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის და **უუშველართა** საკითხის შესახებ. **ტუგუტის სიტყვით პოლონეთი მიმდინარე წელს უფრო ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაშია, ვიდრე ერთი წლის წინად.** გარდა ამისა მუშებსა და გლეხებს შორის დღითი დღე ძლიერდება უკმაყოფილება საშინაო პოლიტიკის გატარების დროს რეპრესიულ ზომების ხმარების გამო. შემჩნეულია აგრეთვე უკმაყოფილება ეროვნულ უმცირესობათა შორის, რომლებიც ძალიან დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეკონომიურ სიბნელეთა მთავარ მიზეზად ტუგუტი სთვლის აუარებელ ხარჯებს პოლონეთის არმიის შესანახავად, რომელი არმიაც არ არის შეფარდებული მცხოვრებთა საერთო რიცხვთან

მუშების იგრძვიან.

ვარშავა, 27 ივლისი. მთავრობის განკარგულებამ ზემო-სილეზიაში 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, **რომლებმაც დაუყოვნებლივ შესწყვიტეს მუშობა.** პოლონეთის სოციალისტური პარტია აწარმოებს შემარიგებელ პოლიტიკას. **ინიციატივა კომუნისტების ხელშია.** სრულიად პოლონეთის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესზე, რომელიც აკრძალული იყო, გამოცხადდა 300 დელეგატი. 27 ივლისს დანიშნულია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების გაფართოებული ყრილობა. ფაბრიკებსა და ქარხნებში იმართება მასიური კრებები. კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. მოქმედების ზემო-სილეზიის კომიტეტს მოსდის სოლიდარობის დეპეშები სხვა და სხვა სამრეწველო რაიონებიდან. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს ლითონის მრეწველობის, ცინკის და ნახშირის მაღაროების მუშათა 90 პროც. პოლიცია იღებს ზომებს ფაბრიკა-ქარხნების გაფართოებულ ყრილობის ასაკრძალავად ზემო სილეზიაში. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს კომუნისტების დევნას. პოლიციამ მიმართა რეპრესიებს.

გერმანიის ამბები

რეიხსტაგში.

პარიზი. 28 ივლ. გერმანია ამცირებს ესპანეთისათვის ტარიფებს ექსპორტის ზოგიერთ საგნებზე და აგრეთვე ანიჭებს „განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ერის“ უფლებას იმპორტის მხრივ. შეთანხმება წარდგენილი იქნება განსახილველად გერმანიის საიმპერიო ეკონომიურ საბჭოში და რატიფიკაციის შემდეგ შევა ძალაში 1 აგვისტოდან.

რეიხსტაგმა მესამე წაკითხვის შემდეგ მიიღო 1924 წ. წინასწარი ბიუჯეტი. რეიხსტაგმა უარჰყო ულტრა-ნაციონალისტების წინადადება უნდობლობის შესახებ 172 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 62 ხმისა, თავი შეიკავა 79 ნაციონალისტმა. სხდომა შაბათამდე გადაიდო. ბერლინიდან მიღებულ ცნობების, თანახმად ლონდონის კონფერენციაზე გასამგზავრებელ დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ პრუსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბავარიის ერთი წარმომადგენელი და ერთი წარმომადგენელი ბადენიდან.

ბავარიაში

მიუნხენიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბავარიის ლანდტაგის საკონსტატუციო კომისიამ უარჰყო ნაციონალ-სოციალისტების წინადადება ებრაელების განდევნის და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ.

მიუნხენში გაიმართა პაციფისტურ ორგანიზაციების მანიფესტაცია ომის წინააღმდეგ.

ნაციონალისტების წინადადება

ნაციონალ-სოციალისტების წინადადება უნდობლობის შესახებ შეტანილი იყო გერმანიის საგარეო პოლიტიკის გარშემო გამართულ დებატების და ნაციონალისტის გერგტის განცხადების შემდეგ. გარგტის განცხადება შეეხებოდა გერმანიის ნაციონალისტების შეხედულებას დოუესის გეგმაზე და საკითხს მისი მიღების შესახებ.

დეპუტები რეიხსტაგში.

ბერლინი, 26 ივლისი. გუშინ რეიხსტაგში სწარმოდა ხანგრძლივი კამათი სარეპარაციო საკითხის გამო, კამათი თითქმის გათენებამდე გაგრძელდა. კანცლერმა მარქსმა განაცხადა, რომ ის ვერ სთვლის მომენტს შესაფერისად გამოვიდეს ასეთი განცხადებით. კანცლერმა დაუმატა, ოომ მთავრობა განაგრძობს თავის ძველ პოზიციიაზე დგომას. მთავრობის სახელით ცენტრის წარმომადგენელმა ფერენბახმა განაცხადა, რომ მთავრობის პარტიები საჭიროთ სთვლიან მოწესრიგებულ იქნას სარეპარაციო საკითხი ექსპერტთა გეგმის საფუძველზე, მაგრამ ისინი დაუშვებლად სთვლიან, რათა გერმანიას უკარნახონ ან ძალით თავზე მოახვიონ ახალი ვალდებულებანი, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების ფარგლებს სცილდება.

ნაციონალ - სოციალისტებმა შეიტანეს რეზოლიუცია მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ

მარქსის მოხსენება

ჰანოვერი 28 ივლისი. რეიხსტაგის ღამის სხდომაზე კანცლერმა მარქსმა გააკეთა მოკლე მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ მთავრობას არ აქვს საშუალება გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება ლონდონის კონფერენციისადმი, ვინაიდან უკანასკნელის შედეგები ჯერ არ არის საკმაოდ გაპორკვეული. დეპუტატმა ფერენბახმა მთავრობის პარტიების სახელით განაცხადა, რომ გერმანიისათვის სარეპარაციო საკითხების მოწესრიგება მისაღებია შემდეგ პირობებში: გერმანიის უკანონოთ დაპყრობილ ტერიტორიების ეკონომიური და სამხედრო ევაკუაცია, დაპატიმრებულ მოქალაქეთა განთავისუფლება და ყველა გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნება და აგრეთვე გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენა დაპყრობილ ოლქებში. ამის შემდეგ გამართულ კამათის დროს ორატორები ილაშქრებდენ ომის დაწყებაში მხოლოდ გერმანიის ბრალდების წინააღმდეგ.

ახალი საგაჟო ტარიფი.

ნაუენი. 26 ივლ. სახალხო მეურნეობის მინისტრმა გამმა „ტაიმს“-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ განზრახული ახალი საბაჟო ტარიფი, კერძოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, არავითარ შემთხვევაში არ იქნება აკრძალნი სასაზღვრო. მისი მიზანია—დარღვიული მდგომარეობის აღდგენა. გერმანიას განზრახვა აქვს თავისი პროდუქტების გასაღება უზრუნველყოს არა აკრძალავი ტარიფებით, არამედ საკაბრო ხელშეკრულებების დადებით.

აჯანყება ბრაზილიაში

ლონდონი, 28 იელისი. ბრაზილიის მთავრობის მიერ მკაცრი ცენზურის შემოღების გამო, ლონდონში მიღებული ცნობები რევოლიუციის მიმდინარეობის შესახებ, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მიღებულ ცნობების თანახმად, **მთავრობის ჰაეროპლანები აუმბარებს ჰაერიან სან-პაბლოსა.** მშვიდობიანი მცხოვრებები სტოვებენ სან-პაბლოს. **საალყო წესების გარდა სან-პაბლოს რაიონისა გამოცხადებულია კიდევ 5 სხვა შტატში, რომელთა მცხოვრებთა რიცხვი უდრის 10 მილ. კაცს.**

ბერლინი. 26 ივლისი. სან-პაბლოსთან (ბრაზილია) გრძელდება შეტაკება. მთავრობის ჯარებმა წაიწიეს წინ, მაგრამ მეამბოხეებმა თავის მხრივ მოახერხეს რიო-დე-ჟანეიროსაკენ. დახეცა. ორივე მხარეებმა გათხარეს სანგრები, ასე რომ ბრძოლა იღებს ნამდვილ ომის ხასიათს. უკანასკნელი ცნობა დასტურდება მთავრობის უკანასკნელი ბიულეტენით, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს“.

სხვადასხვა ამბები

— **საალყო წესები რუმინეთში.** რუმინეთიდან მიღებულია ცნობა საალყო წესების შემოღების შესახებ, ვითომდა „ბოროტგამზრახველთა შეთქმულების“ წინააღმდეგ.

— **რუმინეთი უპურობა.** ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, ბესარაბიაში მოსავლის 75 პროც. დაიღუპა.

— **ამერიკა დაკმაყოფილებას მოითხოვს.** რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს განზრახვა აქვს ოფიციალურად მოსთხოვოს სპარსეთის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ზიანები ამერიკის მოქალაქეთა დასაცავათ სპარსეთში.

— **საბერძნეთში.** ათინიდან მიღებული ცნობებით, ახალი მთავრობა წარუდგა პარლამენტს“

— **ირლანდიის რწმუნებული ამერიკაში.** ირლანდიის წარმომადგენლად ამერიკაში დანიშნულია პროფესორი სმიდი.

— **ამნისტია უარყვეს.** ბელგიის პარლამენტმა 76 ხმით 42-ის წინააღმდეგ არა დროულათ აღიარა ამნისტიის საკითხის განხილვა.

— **მაკდონალდი.** გაზ. „მატენ“-ის ცნობით მაკდონალდი დაესწრება ერთა ლიგის სესიას.

— **წყალდიდობა ინდოეთში.** ინდოეთში არაჩვეულებრივი წყალდიდობაა. რამდენმე სოფელი წყალმა დაფარა. ზოგიერთი რაიონები სრულიად მოწყვეტილი არიან ცენტრიდან.

— **იუზი პარიზში.** ორშაბათს პარიზში ჩავიდა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იუზი, რომელიც დაესწრება ზეიმს, ამერიკელ ადვოკატების საპატივსაცემოდ გამართულს.

— **მაღაროს მუშათა მოთხოვნილება.** სამხრეთ-აფრიკის მაღაროს მუშათა კავშირმა მწარმოებლებს მოსთხოვა შრომის ხელფასის 20 პროც.ით გადიდება.

— **ჩეხო-სლოვაკიაში.** ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ მთელს სლოვაკიაში და ჩეხიის ორავალ ოლქებში აკრძალა კომუნისტური ანტიმილიტარისტული პლაკატების გამოკვრა.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

ყველა ქვეყნების პროლეტარიატისადმი

მოსკოვი. 27 ივლისი. 4 წლის ომისა და 6 წლის უნაყოფო სარეპარაციო ომის შემდეგ, ევროპის სცენაზე ხელახლა გამოდის ამერიკა—ომის ერთერთი საშინელი და მრისხანე მონაწილე. მრავალმილიონიან მუშათა მასებს მეორეთ უპირებენ განადგურებას ტანკებით და მხრჩოლავი გაზებით. საერთაშორისო ომმა მიიღო ევრმანიის პროლეტარიატის სისტემატიური, მოფიქრებული ყვლეფის ფორმა მორგანის ჯგუფის გეგმის მიხედვით, რომელსაც „ექსპერტთა გეგმა“ ეწოდება.

ჯალათების დასახმარებლათ ემზადება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია. 10 წლის წინათ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ხმას აძლევდა საბრძოლო კრედიტებს. ის ყველგან მხარს უჭერდა თავის ბურჟუაზიას. ის მხარს უჭერდა დამარცხებულ ხალხებისათვის თავზე მოხვეულ ვერსალის ხელშეკრულებას და ხელი მოაწერა მას. ის ყველა ქვეყნებში ხელს უწყობდა კაპიტალიზმის აღდგენას პროლეტარიატის ხარჯზე. ის ჰიმნს უმღერს მორგანის ჯგუფს და დოუესის მოხსენების რკინის ნიადაგზე დგება. მეორე ინტერნაციონალის მთავრობა ინგლისში, ინდოეთში, ეგვიპტეში, ირლანდიაში, ინდოჩინეთში, ბალკანეთში, ბალტიისპირეთში, ბელგიაში, ბულგარეთში, ბავარიაში, ბადენში, ბრაზილიაში, ბულგარეთში, ბელგიაში, ბალტიისპირეთში, ბალკან

მსოფლიო ომის ათი წლის თავზე

ათი წლის იუბილე

უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაინთო მსოფლო ომის ცეცხლი და გაჩაღდა უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა ადამიანებისა. სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, ამ უკანასკნელმა დიდმა ომმა (1914—18 წ. წ.) უფრო მეტი მსხვერპლი მოუტანა კაცობრიობას, ვიდრე ყველა ომებმა გასული 120 წლის განმავლობაში.

13 მილიონი ახალგაზრდების სიცოცხლე, აი ის სისხლიანი ციფრი, რომელიც მსოფლიო ომში მონაწილე იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა ჩასწერეს უახლესი ისტორიის ფურცლებზე. ჩვენ არ ვლაპარაკობთ სხვა მსხვერპლებზე: მატერიალური ხასიათის, დაჭრილ-დასახიჩრებულების ფეხზე-უკვლოდ დაკარგულების და სხვების სახით. ეს 13 მილიონი აშკარათ ხდის ფარდას იმ გამანადგურებელ ხასიათს ევროპის ომისას, რომელსაც ის ატარებდა.

კაპიტალისტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც აგებულია ანარქიულ საფუძველზე, საზოგადოება, სადაც მეფობს კონკურენციის წარმოდგენს სამეფოს bellum omnium contra omnes (ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ). მაგრამ 1914 წლიდან ეს არის უკვე შეიარაღებული ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ. სხვადასხვა ქვეყნების ფინანსიურმა ჯგუფებმა და კაპიტალიზმის მაგნატებმა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს.

დღეს არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ნამდვილი მიზეზები ამ ომისა. ეს იცის ყოველმა მუშამ და გლეხმა, რომელიც კი ყოფილა ოდესმე დაინტერესებული სოციალური კითხვებით. სერბიაში, ავსტრიელი პრინცის მოკვლით, როგორც ომის მიზეზით, და სხვა ამნაირი ზღაპრებით ვერ მოატყუებენ ეხლა მუშათა და გლეხთა მასსებს. ჩვენ გვაინტერესებს მეორე საკითხი: მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულება მსოფლიო ომთან. მკითხველებს გაუგონიათ ცნობილი რეზოლიუციები მეორე ინტერნაციონალის კონგრესებისა შტუტგარდში (1907 წ.), კოპენჰაგენში (1910 წ.) და ბაზელში (1912 წ.). ყველა ამ რეზოლიუციებში სოციალ-დემოკრატები აცხადებდენ, რომ ომის დაწყებისას მათ სამღვთო მოვალეობას წარმოადგენს ბრძოლა **თავიანთი მთავრობებს** წინააღმდეგ და მათი დამხობა.

საუბედუროთ, ეს რეზოლიუციები მხოლოდ ქაღალდზე დარჩენ და მათ ვერ იპოვეს რეალური განხორციელება. ეს, რა თქმა უნდა, ძვირათ დაუჯდა მსოფლიო მუშათა მოძრაობას. ინტერნაციონალი დაინგრა, მან შესწყვიტა ფაქტიური არსებობა. მისი ბელადები გადაბარგდენ იმპერიალისტთა ბანაკში და უნდა ვსთქვათ აშკარათ, აღმოჩნდენ მათი საუკეთესო მოკავშირეები. კაუცკი, ნამდვილი განსახიერება მე-2 ინტერნაციონალის თეორიის და პრაქტიკის, პირდაპირ აცხადებდა, რომ ინტერნაციონალი ომის დროს გამოსადეგი ორგანიზაცია არ არისო. მერინგმა ამაზე ირონიულათ შენიშნა, რა უნდა ვსთქვათ ისეთ მანქანაზე, რომელიც სწყვეტს მუშაობას მაშინ, როდესაც ეს ყველაზე საჭიროა. დაბართლაც, ინტერნაციონალი ომის ხანაში იყო ყველაზე უფრო საჭირო. მას უნდა ეჩვენებია მთელი ქვეყნის მუშებისათვის გზა ინტერნაციონალური ბრძოლისა და სოლიდარული მოქმედებისა. ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. აშკარათ ამაშია მათი ღალატი მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინაშე.

წარმოვიდგინოთ, რომ მეორე ინტერნაციონალს არ ეღალატებოდა რევოლიუციისათვის და არ გადაკარგებულიყოს იმპერიალისტთა ბანაკში. მისი ბრძოლით უეჭველია, უფრო ადრე მოეღებოდა ბოლო მსოფლიო ომს და გაცილებით ნაკლები ესხვერპლთ ვიდრე ეს მოხდა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ ინტერნაციონალის „სოციალისტებში“ ჩვენ ვერ ვხედავთ რევოლიუციონერებს საქმეზე, რევოლიუციონერებს, რომელთაც თავიანთი სიტყვა პრაქტიკაში გადაეკვეთ.

დღეს უკვე ათი წელი გავიდა ამ უდიდესი ღალატის შემდეგ. ეხლა არ აქვს ადგილი ომიანობას, მაგრამ იგი მაინც არის პოტენციაში; ყველა ფაქტები გვიჩვენებენ იმას, რომ კაპიტალისტური წინააღმდეგობები გადაეცრილი ჯერ კიდევ არ არიან და მათ გადასაჭრელათ აშკარათ მზადდება ახალი, უფრო საძაგელი და საშინელი ომი. კაპიტალიზმი ჩიხში მოექცა. მას არ შეუძლია გადასწყვიტოს ეს წინააღმდეგობები. ამისთვის მოწოდებულია მუშათა კლასი.

ისმება საკითხი: შეესძლებთ თუ არა ჩვენ მომავალი ომის დაწყებისას მის შეწყვეტას ან სამოკალაჭო ომათ გადაქცევას? განმეორდება თუ არა 1914 წ. სამარცხვინო მაგალითი? ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალის დევ-გმირები მტკიცეთ იდგომებიან თავიანთ მოღალატურ პოზიციაზე. ისინი განმეორებენ ძველ გამცემლობას ახალ პირობებში. მაგრამ არის ერთი ძალა, რომელიც დღეს უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს ძალა—კომუნისტური ინტერნაციონალია. სოციალ-დემოკრატები ისე ადვილათ ვერ დაატყუებენენ მუშებს, როგორც 1914 წ. მით უმეტეს, რომ მუშებმა თავის ზურგზე განიცადეს მსოფლიო ომის საშინელება. კომინტერნი იქნება ის ორგანიზაცია, რომელიც ცეცხლის სიტყვებით წაუძღვება წინ აჯანყებულ რევოლიუციონურ კაცობრიობას. ის მიიყვანს მსოფლიო პროლეტარიატს სრულ გამარჯვებამდის.

ათი წლის იუბილემ ჩვენ უნდა მოგვაგონოს სოც. დემ. ღალატი და ჩვენი რევოლიუციონური ამოცანები. ახალი მსოფლიო ომი აუცილებელია. ამ დროისათვის ჩვენ მზათ უნდა ვიკოთ. ჩვენ უნდა დავჭიმოთ მთელი ჩვენი ძალები, მივიღოთ ყოველგვარი ღონისძიება, რომ 1914 წ. სისხლიანი ტრაგედია და ღალატი არ განმეორდეს, რომ იმპერიალისტების ანკეტზე, გადმოგდებულს სოც.-დემოკრატების საშუალებით, არ წამოგდოს მუშათა კლასი. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა უნდა შექმნას ძლიერი, მჭიდრო რკინის რაზმები მომავალი საშიშროების თავიდან ასაცილებლათ. თუ ეს საშიშროება რეალურ სინამდვილეთ იქცა, მაშინ მსოფლიო მუშათა კლასი, კომინტერნის ხელმძღვანელობით, უნდა გადავიდეს იერიშებზე კაპიტალისტური ციხე-სიმაგრეების ასაღებათ. ათი წლის თავზე ჩვენ კვლავ უნდა დავთვალიეროთ შეკავშირებული მებრძოლი ძალები და მქუხარე ხმით შევსძახოთ: ძირს ომი! ძირს იმპერიალიზმი! ძირს მოღალატე სოციალისტთა საერთაშორისო კავშირი—მეორე ინტერნაციონალი! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

კ. ორაგველიძე.

ლენინი და ომი

იმპერიალისტური ომის ქარცეცხლმა, როდესაც ყოველ დღე ათასობით იღუპებოდნენ მებრძოლ ქვეყნების მუშები და გლეხები; როდესაც ერთი დღის განმავლობაში ადგურდებოდა საუკუნობით დაგროვილი სიმდიდრე; როდესაც მილიონობენ ადამიანების მილიონები აყრილი იყვნენ სანგრებში და ანარმოადგენდენ მათი ბედის გადამწყვეტელთათვის მხოლოდ ზარბაზნის ორცს,—ამ მასების სანუგეშებლად აყდრის საკურთხეველიდანაც, ბურჟუაზიულ გაზეთების ფურცლებზედაც, ჰეცნიერებიც და აგიტატორებიც ამტკიცებდენ, რომ თუმცა მსხვერპლი დიდია, მაგრამ ეს ომი უკანასკნელია. ამ ომით ბოლო მოეღება საერთოდ ყოველგვარ ომსო. მასების ერთ ნაწილს სჯეროდა ეს. ამბ. ლენინმა ახალი ბეკაკეთი ფრაზა თაკის მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციის გარეშე. ლენინის ამ სიტყვებში, რომელიც მან წარმოსთქვა ჯერ კიდევ 1915 წელს, გატარებულია ომის საკითხის გადაწყვეტის სამნაირი შესაძლებლობა.

პირველი, ათასი წლობით ნაკადი, რომელმაც ვერ გაამართლა იმედები, მაგრამ შეინარჩუნა არსებობა ყველა სარწმუნოებათა სამღვდელოების მოხერხებული „გავლენით“—სამღვდელოების, რომელიც მხარს უჭერს მმართველ კლასებს, რომელსაც თავის ძხრივ ზურგს უმაგრებენ ეს უკანასკნელები.

მეორე—რომელიც გამოაშკარავდა 1914—17 წ.წ. ომის დროს. ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფო თავის მოქალაქეების წინაშე გმობდა ომს, როგორც ასეთს, ბრალს სდებდა მოწინააღმდეგეს, სახავდა იმ საშინელებას, რომელიც შედეგად მოჰყვებოდა ომს, თუ მოწინააღმდეგე გაიმარჯვებდა და თვალთმაქცურად უარყოფდა რა ომს, აღვივებდა ნაციონალისტურ შეღლს „გაიძვერა მტრის“ წინააღმდეგ. ეს მეორე საშუალება მოკლედ გამოიხატებოდა შემდეგში: „ომი ომის წინააღმდეგ ომის საშუალებით,“ ამავე დროს პირველი აცხადებდა: „ომი ომის წინააღმდეგ ღმერთის საშუალებით“.

მეორე ფორმულას უერთდებოდენ მე-2 ინტერნაციონალის ოპორტიუნისტული ელემენტები, მიუხედავად იმისა იყვენ ისინი თავდაცვის მომხრე პატრიოტები და სავსებით უერთდებოდენ ბურჟუაზიას სამშობლოს თავდაცვის საკითხში, თუ იყვენ ისინი ინტერნაციონალისტები, რომლებიც მხარს უჭერდენ ინტერნაციონალისტურ მომდინარეობას; ისინი ხსნას ხედავდენ ომის აბსურდამდე დაყვანაში, ე. ი. ომის უშედეგოდ გათავებაში. მათი ლოზუნგი იყო: „არც გამარჯვება, არც დამარცხება; ზავი უკონტრიბუციო უანექსიო“, მაგრამ ამავე დროს არ იყო გათვალისწინებული გზა ამ მიზნის მისაღწევად.

მაშინ ვლადიმირ ილიჩი უპასუხებდა მათ: „ეს ხომ „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგის განმეორებაა, მხოლოდ სხვანაირ სიტყვებით? ეს არის საკითხის გადატანა მთავრობების ომის სფეროში (რომლებიც ლოზუნგის შინაარსის მიხედვით რჩებიან ძველ მდგომარეობაში ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს), და სრულიადაც არ ნიშნავს ჩაგრულ კლასების ბრძოლას თავიანთ მთავრობის წინააღმდეგ. ეს არის ყველა იმპერიალისტურ ერების, ბურჟუაზიის შოკინიზმის გამართლება, რომელი ბურჟუაზიაც მზად არის უთხრას და ეუბნება კიდევაც ხალხს, რომ იგი იბრძვის მხოლოდ დამარცხების წინააღმდეგ“.

ვლადიმირ ილიჩი დაწყებულ ომში ხედავდა „იმპერიალიზმის“ პოლიტიკის გაგრძელებას და სხვანაირად უდგებოდა საკითხს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბოლშევიკები) ცეკას პირველ პოზედებაში, რომელიც შედგენილი იყო ლენინის მიერ და გამოცემული 1914 წ. ნოემბერში, ნათქვამია:

„ყველა მოწინავე ქვეყნებში ომი **აყენებს პირველ რიგში სოციალისტურ რევოლიუციის ლოზუნგს.** თანამედროვე იმპერიალისტურ ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არის ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი, რომელზედაც მოგვიათითებს ომის ეკონომიკა, რომელიც გათვალისწინებულია (1912 წ.) ბაზელის რეზოლიუციაში და რომელიც გამომდინარეობს იმპერიალისტურ ომის ყველა პირობებიდან. რამდენადაც ძნელი არ უნდა გვეჩვენოს ასეთი გადაქცევა ამა თუ იმ მომენტში, სოციალისტები არასოდეს უარს არ იტყვიან სისტემატიურ, დაჟინებით მოსამზადებელ მუშაობაზე ამ მიმართულებით“.

და ლენინის აქსიომად მიაჩნდა, რომ „რევოლიუციონურ კლასს რეაქციონურ ომის დროს არ შეუძლია არ უსურვოს დამარცხება თავის მთავრობას“. ეს ლოზუნგი იყო წამოყენებული და ამ ლოზუნგის განხორციელების გზაც გათვალისწინებული იქნა. ყოველ მებრძოლ ქვეყანაში სოციალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ თავის მთავრობის, თავიანთ გაბატონებულ კლასების დამარცხებას. მტერი სანგრებს აქეთაა და არა იქით.

ლენინი, მარქსისტი თავიდან ბოლომდე, მტკიცეთ იცავდა იმას, რასაც მარქსი ამბობდა „გეგელის უფლების ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში“: „თავის მდგომარეობის შესახებ ილიუზიების გაფანტვის მოთხოვნა, არის საერთოთ იმ მდგომარეობიდან თავის დახწევის მოთხოვნა, რომელსაც ილიუზიები ესაჭიროება“. ერთ ასეთ ილიუზიას წარმოადგენდა ომის შეწყვეტის იმედი კაპიტალისტურ წესწყობილების შენარჩუნების დროს. ლენინი მტკიცეთ და გადაუხრელად ატარებდა ცხოვრებაში მე-2 ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის მიერ მიღებულ ლოზუნგს,—ლოზუნგს, რომელსაც უფალტა მე-2 ინტერნაციონალმა: „იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად“. და როგორც კი რუსეთის რევოლიუციამ გაუხსნა გზა მუშათა კლასის დიქტატურისათვის ბრძოლას, ლენინმა გადახარა ბრძოლის ბერკეტი სამოქალაქო ომის მხარეზე კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ, პროლეტარიატის ძალა-უფლების დასამყარებლად. იმპერიალისტურ ომის ქარცეცხლში ლენინი სჭედავდა პროლეტარიატის შეტევის იარაღს, რევოლიუციის ქარცეცხლში მან ძლევამოსილი გახადა ეს იარაღი.

ფ. კ.

ვერსალის ზავი

იმპერიალისტური ომი ღირსეული ფინალით: ვერსალის ზავით დამთავრდა. ვერსალის ხელშეკრულებას, ტრიანონში, სენ-ჟერმენში, ნეიოში და სევრში დადებულ დამატებით ხელშეკრულებებით, რომლებიც ხელახლა ანაწილებდენ მსოფლიოს, უსათუოთ შეისწავლიან მომავალ სკოლებში, როგორც ისეთ სისამაგლის და სისულელის კლასიკურ ნიმუშს, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიულ, მსოფლიოს, საერთაშორისო კაპიტალიზმს ახასიათებს.

თუმცა ვერსალის და სხვა ყველა ხელშეკრულებები შემუშავებული უნდა ყოფილიყო ყველა გამარჯვებულ სახელმწიფოების მიერ, მათი რიცხვი 10-დე აღწევდა, ნამდვილად კი ოთხმა დიდმა მტაცებელმა (ამერიკამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ) არავინ არ დაუშვეს ბატონის სუფრაზე, რომელზედაც სწარმოებდა მოტაცებულ მდიდარი ნადავლის გაყოფა. მაგრამ მსუქანი და გემრიელი ნაჭრები შეხვდათ პატარა სახელმწიფოებსაც: რუმინეთს, პოლონეთს და სხვ.

ხელშეკრულებას სდებდენ ოთხი სახელმიფოს 4 წარმომადგენელი: ვილსონი ამერიკიდან, კლემანსო საფრანგეთიდან, ლოიდ-ჯორჯი ინგლისიდან და ორლანდო-იტალიიდან. რას წარმოადგენდენ ეს ოთხი „მეტ-ობელი მსოფლიოსი“? ერთი მათგანი ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი უკვე გარდაიცვალა. თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ამ „ცილინდრიანი ქრისტეს“, ფარისეველ მოქადაგებლის, უვიცი პოლიტიკოსის, დამარცხებული მესიის გარდაცვალება, რომელსაც თავისი ცნობილი სიტყვებით და თეზისებით ომის დროს, სურდა მოეხდინა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის გაბედნიერებდა მსოფლიოს.

ყველაზე დიდი როლი ითამაშა აქ ოთხმოცი წლის მოხუცის ბენ-ჟამინ ფიგურამ—კლემანსომ. თავისი ხელებით მან დაწნა ის მარყუში, რომელსაც კერსალის ხელშეკრულება კისერზე აბვევს გერმანიას და რომელიც, რა თქმა უნდა, გერმანიის ბურჟუაზიას გადაიტანა გერმანიის პროლეტარიატის კისერზე. კლემანსო გულწრფელი მაინც იყო თავის უსაზღვრო ცინიზმში ის სასაცილოთ იღებდა აზრს იმის შესახებ, რომ ვერსალის ხელშეკრულება, იქნებოდა „სამართლიანი“ ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა „ეროვნებათა უფლებებს“. „მიეცეს ურთხე მე ეროვნებათა უფლებებს“-ო ამბობდა კლემანსო,—ჩემთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გამოეწოვო გერმანია, როგორც ლიმონი, და ევროპაში დავამყარო საფრანგეთის გეგემონია“. ამას მან მიაღწია ლოიდ-ჯორჯის დახმარებით. ლოიდ-ჯორჯი უსინდისო პარტენორი აღმოჩნდა ამ კამპანიაში. მან მოახერხა ყველა თავისი კოლლეგების მოტყუილება ამ კონფერენციაზე: ფაქტიურად ხომ ომის წყალობით ყველაზე მეტი სარგებელი ინგლისმა ნახა; მან მიაღწია მასთან მეტოქე გერმანიის საზღვაო კაპრობის განადგურებას და მიიღო გერმანიის კოლონიების ყველაზე დიდი ნაწილი.

და ბოლოს, მეოთხე ორლანდო ის საბოლოოდ ჩავარდა ისტორიის სანაგვე ყუთში. ორლანდო იყო იმპერიალისტურ იტალიის კაპიტალის ყველაზე უფეიერული მოსამსახურე და მან ვერ შესძლო თავისი მარწმუნებელის ინტერესების დაცვაც კი. რა თქმა უნდა, თავისი იმპერიალიზმის მოსამსახურეები იყვენ ოთხივე. ხელშეკრულებების შინარსს უკარნახებდენ ფინანსისტების, ბანკირების და ბრეწველების, ნავთის, ფოლადის, ნახშირის და ბამბის მეფეების ინტერესები.

ხუთმა წელმა განვლო ვერსალის ხელშეკრულების დადების დღიდან. მაგრამ უკვე 5 თვის შემდეგ მის ხელის მოწერიდან, თვითეულისათვის, ბურჟუასათვისაც კი ცხადი იყო რომ ეს ხელშეკრულება უხვი ხელით სთესავდა ახალ ომების თესლს. და მართლაც—მთელი ომის შემდეგი ხანა წარმოადგენდა ფაქტიურად „მცირე ომების“ პერიოდს. ამ 5 წლის განვლილობაში—ალბერეოდას ერთი ერთი დღე არ გაუტარებია ისე, რომ სადმე მსოფლიოში და ყველაზე მეტად ევროპაში, არ დაღვრილიყო ადამიანის სისხლი ამ ხელშეკრულების წყალობით.

აღვნიშნავთ მხოლოდ ამ ხელშეკრულების ორ უმთავრეს მომენტს ომამდე არსებობდა ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერია, რომელსაც ეწოდებოდა: „ნაფლეთებისაგან შემდგარი მონარქია“, ვინაიდან იგი შესდგებოდა ახვადასხვა ეროვნებებით დასახლებულ ოლქებისაგან, რომლებიდანაც ყველაზე სუსტი ოლქები იყვლეფებოდენ უფრო ძლიერების მიერ ომის შემდეგ ავსტრო-ჰუნგრეთი დაინაწილეს ახალმა სახელმწიფოებმა ამბრეთ-სლავიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, ჩეხო-სლოვაკიამ, რომლებიც შესდგებიან სრულიად აკრეფილებულ ეროვნებათაგან. სამხრეთ-სლასიაში ერბები, რომლებიც „ითვლებიან გაბატონებულ ერად და სასტიკად ჩასგრავენ სხვა დანარჩენებს—ადგენენ მხოლოდ 49 პროც.-ს. რუმინეთში, რომელსაც მკაცრი ტერორის ქვეშ ყავს სხვა ერები—სცხოვრობს 30 პროც. არა რუმენელი. ჩეხო-სლოვაკიაში ჩეხების ბურჟუაზია სჩაგრავს სლოვაკიის გლეხებს. დაბოლოს პოლონეთში—ყველამ კარგად იცის, როგორ ექცევიან პოლონეთის პანები უკრაინელ და ბელორუსიელ გლეხებს. თვითეული ეს ახალი სახელმწიფო წარმოადგენს როგორც შინაურ, ისე საგარეო ომების კერას, ვინაიდან მჩაგვრელებს დღემდის ვერ გაუფყვიათ ხელში ჩაგდებული ნადავლი.

ვერსალის ხელშეკრულების მეორე დამახასიათებელ თვისებას შეადგენს —ანტანტის მიერ მიკუთვნებული უფლება გერმანიის გაძარცვაზე, ე. წ. „ექსპერტთა პროექტი“, რომელიც ... ვერსალის ხელშეკრულების უკანასკნელი დამატება, ამ ძარცვა-გლეჯას „საქმეინ“ ნიადაგზე აყენებ...

ბოლოს და ბოლოს, ვერსალის და სხვა ხელშეკრულებებისაგან იტანჯებიან ევროპის მშრომელი კლასები იტანჯებიან ისე, როგორც არ იტანჯებოდენ ომის დროს: ამ ხელშეკრულებათა წყალობით—„მშვიდობიანობა“ უფრო საშინელია ევროპის პროლეტარიატისათვის, ვიდრე ომი.

სავსებით ცხადია ამიტომ, რომ ევროპის ყველა მშრომელთა ლოზუნგათ ითვლება ვერსალის და სხვა ყველა ხელშეკრულებათა გაუქმება, რაშიაც მათ მხარს უჭერენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელები. და ყველაზე უფრო ცხადი ევროპის მშრომელებისათვის არის ის აზრი, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის გამოცდილების ნიადაგზე, რომ ვერსალის სახრჩობელისაგან განთავისუფლება მათ შეუძლიათ მხოლოდ სოციალურ რევოლიუციის გზით.

მ. ლ.

კაპიტალიზმის კრიზისი და ახალი საერთაშორისო ომის საფრთხე

ამ დღეებში ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სარაევოში დანაკვეხმა პატარა ნაპერწკალმა უდიდესი საერთაშორისო ცეცხლი გამოიწვია და მთელი კაცობრიობა ომის ალში გახვია.

1914—18 წლების საერთაშორისო ომმა ფაქტიურად დაშალა, დაარღვია ძველი ეკონომიური და პოლიტიკური სწორწონაობა, გასტეხა კაპიტალისტური მეურნეობის მექანიკა და სრული ქაოსი გაამეფა მთელს მსოფლიოში. ამით ეს ომი კაპიტალისტური წყობილების „მესიფლავე“ გახდა და სრულიად ახალი პერიოდი დაიწყო კაცობრიობის ცხოვრებაში.

ამგვარად 1914—18 წ.წ. ომი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი არამარტო თავისი წარმოშობის მიზეზებითა და ვითარებით, არამედ უმთავრესად და პირველყოვლისა თავისი შედეგებით: ომი კაპიტალისტური სტრქტურის კრიზისის მაჩვენებელი შეიქმნა, ის კრიზისის, რომლიდანაც მისი განკურნება მხოლოდ მისივე (კაპიტალიზმის) სიკვდილით შეიძლება.

როგორც ლაიპციგის უნივერსიტეტის ბურჟუაზიული პროფესორი ერნსტ შულეკე აღნიშნავს თავის საინტერესო წიგნში („მსოფლიო მეურნეობის დაშლა“), არც ერთ ომს არ გამოუწვევია იმდენი განადგურება, რამდენიც გამოიწვია ამ ომმა (1914—18 წ.): მან მრავალი წლით გააბარტახა მინდვრები და მოსპო მთელი რაიონები; მან მოსპო რამოდენიმე მილიონი ადამიანი და დაასახიჩრა კიდევ მრავალი მილიონები. ცოცხლად დარჩენილთ (განსაკუთრებით შუა. ევროპაში) მან გამოსწურწნა ტვინი ძვლებიდან; მათი სასურსათო და საბრეწველო მარაგი ამოწურული აღმოჩნდა; მათი წარმოება—იარაღები მოიშალა, ან საესებით გაფუჭდა; ერთი სიტყვით, ომმა დასტაგა თავის შემდეგ ნანგრევებით აღსავსე მიდამოები, რომელთა დანახვა უდიდეს მწუხარებას იწვევს ადამიანში*).

ისტორიულად, ყოველ მნიშვნელოვან ომს ყოველთვის თან ზდევდა, ხოლმე მკირე ხნის კრიზისის შემდეგ საწარმოო ძალთა გაფართოება და ეკონომიური წარმატება; ამ მხრივ ომი ასე თუ ისე კაპიტალიზმის ექსპანსიას, მის გაფართოებასა და გაზრდას უწყობდა ხელს: ის შლიდა და არღვევდა იმ ზღუდეებს, იმ მოვლენებს, რომელნიც კაპიტალიზმის წარმატებას უშლიდენ ხელს. **1914—18 წ. წ. ომმა, წინაღმდეგ, დაშალა, დაარღვია თვით კაპიტალიზმის საფუძვლები და ამით კაპიტალიზმის არსებობის დასასრულის დასაწყისი მოამზადა.** ეს ომი კაპიტალიზმის დეგრადაციის, მისი დარღვევისა და განადგურების გამომხატველი გახდა: კაპიტალიზმი ბევრათ უფრო ადრე შევიდა ლპობის პერიოდში, ვინემ საერთაშორისო ომი დაიწყებოდა: მისი საწარმოო ძალთა განვითარება წინაღმდეგობის გარდუვალ რკალში მოემწყვდა, რომლის გახსნა მან შეიარაღებული ძალით, ომით მოინდომა. ომმა კი უფრო დაარღვია და შეარყია მისი არსებობის საფუძვლები.

მაგრამ, თუ თავის მხრით საერთაშორისო ომმა ფაქტიურად გაანადგურა და გააპარტახა საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი დოვლათი და სიმდიდრე და უდიდესი ეკონომიური კრიზისები შექმნა მთელს მსოფლიოში, კაპიტალისტურ საბელმწიფოთა პოლიტიკამ ერევეს პროცესში მყოფ კაცობრიობას ახალი გამანადგურებელი ფაქტორები შემატა პარიზის მიდამოებში შემუშავებულ ავაზაკურ ხელშეკრულებების წყალობით: ვერსალის, სან-ჟერმენის, სევრის საზავო ხელშეკრულებების პირობებმა ფაქტიურად დაასრულეს, განაგრძეს ომის მიერ დაწყებული რღვევა და სრული ქაოსი გაამეფეს კაპიტალისტურს მსოფლიოში, ან ედინბურგის უნივერსიტეტის ფროფესორის სიტყვები რომ ვიხმაროთ: „იქ, სადაც სამხედრო იარაღები ანადგურებდენ მთელს არმიებს, (ხელშეკრულების) სამეფურნეო იარაღები სპობს მთელს ერებს. **ეს უკანასკნელი იარაღი ერთნაირად ანადგურებს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, მტრებსა და მოკავშირეებს.** განადგურების რკალში ხვდება არა მარტო გერმანეთი, არამედ ჩეხია და პოლონეთი, სერბია და ბელგია; განადგურება ვრცელდება „დამნაშავეზე“ და არა „დამნაშავეზედაც“, ყოველივე ამას შედეგად მოსდევს შიმშილით სიკვდილი და შიმშილობის ნიადაგზე ტიფი, გაკოტრება და ბოლშევიზმი. უკეთ რომ ვსთქვათ, ესაა მშვიდობიანობა არა ომშმარიტი გამარჯვების, ან არა ომშმარიტი გამარჯვება უზავოთ. თანდათანობით ცხადი ხდება, **რომ ეკონომიური მილიტარიზმი** როგორც ბლოკადის, ისე გაცარცვის მიზნით ეკონომიური კომპენსაციის ფორმაში, არ უწყობს მშვიდობიანობის დამყარებას ხელს და წარმოადგენს ორივე პირით გალესილ იარაღს, რომელიც ვნებს არა მარტო მათ, ვისაც მას სცემენ, არამედ მასაც ვინც მას ხმარობს“.

ყერსალისა, სან-ჟერმენს, სევრსა და სხვაგან შემუშავებული საზავო პირობები სწორედ ის ორივე პირით გალესილი იარაღი გამოდგა, რომელმაც თუმცა არა ერთნაირად, მაგრამ მაინც გაანადგურა და დასცა როგორც ანტანტის სახელმწიფონი, ისე დამარცხებული და ნეიტრალური ქვეყნები.

1914—18 წლის ომი თავის ფინაარსითა და სიდიდით მართლა გრანდიოზული აღმოჩნდა: მან ფაქტიურად ჩაითრია თავის ორომტრიალში მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი ცენტრები და კაპიტალისტური ქვეყნები, ამით იგი მართლა საერთაშორისო ომად გარდაიქცა.

ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც საუკეთესო მცოდნე იყო საერთაშორისო პოლიტიკისა და სამხედრო მდგომარეობის, დიდი ხნის წინედ მოელოდა უდიდეს საერთაშორისო ომს, რომელიც გამოიწვევდა კაპიტალიზმის კრიზისსა და მის დაშლას. ენგელსი პროლეტარიატის ინტერესების საზომით თითქმის 1870—1 წლებამდე მხარს უჭერდა ნაციონალურ ომებს, რომელიც მიმართული იყო გერმანეთის და იტალიის გაერთიანებებასთან და ჩუნგრეთის, პოლონეთის, ირლანდიის **განთავისუფლებისაკენ.** ამ წლებიდან ევროპის კონტინენტზე იმდენად შეიკუმშა ჩაერი და ისეთი ამაფეთქებელი ნივთიერებანი დაგროვდა ევროპის ორგანიზმში კაპიტალისტურ-მეურნეობის განვითარების ნიადაგზე, რომ რაიმე მნიშვნელოვან შერყევას შეეძლო გამოეწვია უდიდესი საერთაშორისო ომი; სამხედრო განვითარებამ, ენგელსის სიტყვებით, შეუძლებელი გახადა სხვა „ომი, გარდა მსოფლიო ომისა, გაუგონარის თავისი სიმაცარით, რომლის შედეგების გამოანგარიშება ყოვლად შეუძლებელი გახდება“.

თავის წიგნში: „**სოციალიზმი გერმანიაში**“ (1890 წ.) თითქმის ვენიალური სისწორით მოხაზა ენგელსმა ის შედეგები, რომელიც შესაძლებელი იყო მოყოლოდა საერთაშორისო ომს. ამ წიგნში ენგელსმა ორი ძირითადი სახელმძღვანელო დებულება დაუტოვა თავის მემკვიდრეობას; ეს დებულებები დღეს სავსებით დაადასტურეს ყოველი ჯურის რეფორმისტებსა და მენშევიკებს, რომელთაც თავიანთი თავი მარქს ენგელსის მოწაფეებად მოაქვთ. ენგელსის დებულებები გამოიხატებოდა შემდეგში: 1) საერთაშორისო ომი გამოიწვევს კაპიტალიზმის კრიზისს, რომლის დროსაც შეუძლებელი გახდება კაპიტალისტური საზოგადოების არსებობა; 2) ამ პირობებში პროლეტარიატმა თავისი კურსი აუცილებლად უნდა მიჰმართოს სოციალისტურ რევოლიუციისაკენ. ენგელსი სწერდა:

„ერთი სიტყვით,—ზავი მოუტანს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაახლოვებით ათი წლის შემდეგ გამარჯვებას. ომი კი მოუტანს მას ან გამარჯვებას ორი-სამი წლის შემდეგ ან სრულს დაცემას, უკიდურეს შემთხვევაში ოცი-ოცდაათი წლით. ამიტომ გერმანიის სოციალისტები სულელები იქნებოდენ, რომ მათ ომი სურდეთ, **რომლითაც ყველა ისინი სასწორზე დასდებდენ თავიანთ თავს,** იმის ნაცვლად, **რომ დაეცადათ ტრიუმფისათვის მშვიდობიან დროში. უფრო მეტი, ვერც ერთი სოციალისტი, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ვერ ვუსურვებს სამხედრო გამარჯვებას როგორც თანამედროვე გერმანიის მთავრობას, ისე საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, მით უფრო ცარიზმს, რომლის გამარჯვება გამოიწვევდა მთელი ევროპის დამონებას.** ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალისტები—**ზავის მომხრენი არიან.** მაგრამ თუ ომი მაინც დაიწყება, მაშინ გადაჭრით შეიძლება ითქვას ერთი: **ამ ომმა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას 15-დან 20 მილიონამდე შეიარაღებული ჯარები და რომლის შემდეგაც მთელი ევროპა აღმოჩნდება გაპარტახებული ისე, როგორც არასოდეს, ამ ომმა უნდა მიგვიყვანოს ან დაუყოვნებლივ სოციალიზმის გამარჯვებამდე, ანდა ამდენად შესცვლის ყოველგვარ პირობებს და დასტოვებს თავის შემდეგ ისეთს ნანგრევებთა ხროვას, რომ კაპიტალისტური საზოგადოების არსებობა სრულიად წარმოუდგენელი გახდება... და სოციალისტური რევოლიუცია, მართალია ათი ან ზუთმეტი წლით დაშორებული, მით უფრო ღრმად შეჩრილი და მით უფრო სწრაფად ამოძრავებული, მაინც გაიმარჯვებს“.*)**

ენგელსი პირდაპირ წინასწარმეტყველი აღმოჩნდა: საერთაშორისო ომმა, რომელიც დაიწყო ენგელსის წიგნის დაწერის 24 წლის შემდეგ, იმდენად დაშალა კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლები, რომ მისი არსებობა შეუძლებელი და მიზანშეუწონელი ხდება, ხოლო ომის მიხეზებით გამოწვეულმა სოციალისტურმა რევოლიუციამ სრული გაჰარჯვება მიანიჭა პროლეტარიატს მთელი დედამიწის ერთ-მეექვსედის ნაწილზე და ევროპის კონტინენტზე გაამეფა პერმანენტული რევოლიუციები, რომელმაც როგორი სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი

1. ომი ომამდე

მსოფლიო ომის გაგონება ტანში ერეტანტელს უვლის მშრომელ კაცობრიობას. მთელი ქვეყნის მუშები და ბელეხები წყევლა-კრულვით იხსენიებენ ევროპიელ ხოცვა-ჟლეტის მეთაურებს. ომის საწინააღმდეგო ვანწყობილება, მისი გაძლიერების საჭიროება დღეს იჩენს თავს ყველაზე უფორო, მთელი თავისი ბუნებით. მსოფლიოს შეგნებული პროლეტარიატი ომის 10 წლის თავზე ანგარიშს უკეთებს, ითვალისწინებს მსოფლიო ომის შეგეგსა და გაკვეთილებს. ამას მოითხოვს შემმნილი საერთაშორისო მდგომარეობაც. ახალი ომის საშიშროება, ახალი სასაკლაოების აღმოცენება მთელი სიმწვავით სდგას საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე. არის მზადება ახალი ომისათვის. იმპერიალისტური ბურჟუაზია კვლავ ემზადება საბედისწერო მომენტისათვის. ომისათვის მუშაობას არ აქვს დაფარული ხასიათი. ყოველ ახალ ძიღწევას „სამხედრო ხელოვნების“ სფეროში ბურჟუაზიული პრესსა დიდის სიამაყით აქეყნებს და ამით მოწინააღმდეგე ბანაკსაც აქეზებს, ამხვნევებს. მილიტარისტული სულისკვეთება ძლიერდება ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში თითქმის ყოველღიურად, ყოველსაათობით.

შეიძლება თუ არა ომის საკითხი არ არსებობდეს თანამედროვე საერთაშორისო პირობებში? რასაკვირველია, არა. ჩვენთვის მოულოდნელი ბანსაცვიფრებელი სრულებით არაა ის მოვლენა, რომ მყვლეფელები და „კულტურული ეაჩაღები“ ომისთვის ემზადებიან. სასწაული და გასაკვირი იქნებოდა წინააღმდეგის არსებობა. კაპიტალისტური წყობილება ომის. სისხლის ღვრის, ძალმომრეობის და უსამართლოების დაკანონებაა. ეს ძველის-ძველი ამბავია და უდაო ჭეშმარიტება. ომი შედეგია საზოგადოების კლასებად, სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფის, დანაწილების, კლასების ერთმანეთთან დაპირისპირების. პირველყოფილ, სოციალ კლასებად დაუყოფელ, დაუნაწილებელ საზოგადოებრივ ერთეულებში არ არსებობდა შუღლი, ომი, მტრობა, ძალმომრეობა. ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ძალით დაპყრობის ცდა ეკომიერ თანასწორობის მოსპობის ნიადაგზე წარმოიშვა. ბურჟუაზიულ წყობილებამ „კულტურასთან“ ერთად თან მოიტანა ომის საშინელებანი, ძლიერი ქვეყნის მიერ განადგურება სუსტი ქვეყნის, ჩაგრა-მონობა და განუწყვეტელი სისხლის ნაკადულები.

ჩვენ დღეს ვეხებით ბურჟუაზიულ საზოგადოების იმპერიალისტურ ბუნებას. ამ საკითხის ახსნა-გაშუქება საჭიროა, რადგან ამგვარადაც უხვად მოიპოვებიან ისეთი ჭკუის პატრონები, რომლებიც ომის ღრმა სოციალ-ეკონომიურ მიზეზებს მთავრობათა სულიერ განწყობილებაში ეძებენ. ამის კონკრეტ მაგალითს წარმოადგენს ევროპის ომის „ახსნა“ ზოგიერთების მიერ. ჰგონიათ, 1914 წლის ოსტორიული ამბები ავსტრიის ტახტის მემკვიდრეს—ვიღაც ერცჰერცოგის მკვლელობის საფუძველზე წარმოიშვა. ამ „თვალსაზრისს“ ბოლომდე თუ გავყვებით, შემდეგ დასკვნას წავაწყდებით: მსოფლიო ომი არ გაჩაღდებოდა, სერბიაში ავსტრიის „ბრწყინვალე პირისათვის“ გულის ფიცარი რომ არ დაემსხვრიათ. აშკარაა, „ისტორიის ახსნა“ ასეთი მარტივი შეხედულებით სწორი არაა. ავსტრიის ერცჰერცოგის მკვლელობა იყო საბაბი და არა მიზეზი ავსტრია-სერბიის შეტაკების საქმეში. ნამდვილი მიზეზი დაფარულია ხშირად. საბაბი უფრო აშკარა სახეს ატარებს. ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობით დაჩლუნგებული გონება ვერ ერკვევა სინამდვილესა და მოჩვენებას შორის. ამიტომაც ხდება, რომ საბაბს მიზეზად ასაღებენ, მიზეზს კი სავსებით აფუჩეჩებენ.

მსოფლიო ომმა მრავალ დაფარულ საიდუმლოებას ახადა ფარდა. სისხლის აღების ნიადაგზე ომის წარმოშობა დღეს იშვიათად სჯერათ. სურვილები, მისწრაფებანი, „რომანიული ნიადაგი“, ჰუმანიური მოსაზრებანი, მაღალი იდეები და მრავალი სხვა იდეალისტურ-მისტიკური „სულის გაქანებანი“ არამც თუ ომის მიზეზად გვეელინებიან, პირიქით, ხშირად ომის მიზეზს ზედნაშენად, მახინჯ სახეთაც აღარ ხდებიან. ერთი ქვეყნის შეიარაღებული ბრძოლა მეორე ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიურ ნიადაგზე წარმოიშობა. ეკონომიური თვალსაზრისი, ფინანსიური ინტერესი, ეკონომიკა და არა რომანტიკა ქმნის კაკობრობის ისტორიას. ავსტრო-ჰუნგრეთსა და სერბიას შორის, ერთის მხრით, და სერბიასა, გერმანიასა და მეფურ რუსეთს შორის—მეორე მხრით, არსებობდა მკაცრი ეკონომიური დაპირისპირება, ძლიერი წინააღმდეგობა ეროვნულ კაპიტალის გაძლიერების საფუძველებზე. მართალია, მთელი მსოფლიო წარმოადგენს ერთგვარ ეკონომიურ ჯაჭვს, რომლის რგოლები წვრილი და მსხვილი სახელმწიფოებია. მაგრამ ეს ჯაჭვი სწყდება ხშირად, ირღვევა წონასწორობა და საერთაშორისო კონფლიქტი ღვივდება და ვითარდება. ავსტრია და გერმანია თუ არა 1914 წელს, შემდეგ წლებში მაინც, წმინდა ეკონომიური აუცილებლობით, იმპერიალისტურ მეარეკს წაუქერდნენ ყელში შედარებით სუსტ სერბიას. ამას ჭეულისხმობდა ავსტრია-გერმანიის კაპიტალის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები.

რატომ გადაემტერა ავსტრო-ჰუნგრეთი პატარა სერბიას?

ჩვენ ვსთქვით, კაპიტალისტური წყობილება ომის საწყაულია. იმპერიალიზმი კაპიტალიზმის პრაკტიკული პოლიტიკაა. ბურჟუაზიული ქვეყანა ისე ვეღარ წარმოიდგინება, თუ იქ არ სწარმოებს საქონლის დაზზადება და ამ საქონლისათვის ფართო ბაზრის ძიება. თუ შინაური ბ[illegible] აკმაყოფილებს საქონლის გასაღებას, რიული ომების საშიშროება არაა, არ ხდება საჭირო იმპერიალისტურ მეთოდებისა და ხერხებისადმი მიმართვა. ასეთი ეპოქაა კაცობრიობის ცხოვრებაში კაპიტალიზმის განვითარების პირველი და მეორე საფეხური—საკაბზოსავგრო და სამრეწველო კაპიტალის ტრიალი. მაგრამ როდესაც კაპიტალისტური წარმოება მეტისმეტად გაფართოვდება, გაღრმავდება, „გაუმჯობესდება“. ან, როგორც ამბობენ ეკონომისტები—ფინანსიური კაპიტალიზმის დონემდე მიაღწევს, საქონელი ზღაპრული რაოდენობის მზადდება, შინაური ბაზარი ვიწროდება და თავს იჩენს გარეშე ბაზრის დაპყრობის საჭიროება. აქედან წარმოიშვება ახალ-შენები, ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ მცირე ბალხების ეკონომიურად და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც დამორჩილება. „დამორჩილება“ არ ხდება ნებით, თანხმობით. საჭიროა ზარბაზნების ამოქმედება, ტყვიისფრქვეველების ამეტყველება, მოკლეთ—იმპერიალისტური ომი.

საერთაშორისო ომამდე ევროპის კონტინენტზე ფინანსიურ კაპიტალის ქვეყნად გერმანია ითვლებოდა. მძიმე ინდუსტრიის განვითარებამ გერმანიაში მიაღწია უმაღლეს წერტილს. გერმანიის კაპიტალი დაპყრობით ეშურებოდა მთელ ევროპის სახელმწიფოებს. გერმანიის სამხედრო იმპერიალიზმის შიშის ქვეშ მოექცა თითქმის მთელი ევროპა. ძირითადი ამოცანა, რომელიც წამოჭრილი იყო გერმანიის ინდუსტრიული წარმოების შემდეგი განვითარების წინაშე, ახალი ბაზრების დაკავებაში მდგომარეობდა. ერთ-ერთ ასეთ „ბაზარს“ ოტომანიის იმპერია—ოსმალეთი წარმოადგენდა. ეკონომიურად ჩამორჩენილი ოსმალეთის სახელმწიფო ვერ უწევდა დას. ევროპის კაპიტალს წინააღმდეგობას საკუთარ მიწა-წყალზე. ამავე დროს ოსმალეთის ბედით დაინტერესებული იყო საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალიც. საფრანგეთ-ინგლისი სცდილობდა ოსმალეთში შეპრას თავისი საქონლით და ოსმალეთის ბაზრიდან გერმანიის ნაწარმოების განდევნას. აქედან დაიწყო შეხლა-შემოხლა გერმანიასა და საფრანგეთ-ინგლისს შორის. ოსმალეთის ბაზარზე ომამდე გზაენიდა თავის ნაწარმოების მთელ რაოდენობიდან:

ინგლისი—35,05 პროც.
გერმანია — 4,22 „
რუსეთი — 5,8 „

როგორც ვხედავთ, გერმანია ერთობ მცირე როლს თამაშობდა ოსმალეთის ბაზარზე. ინგლისის კაპიტალისტები ბატონობდნენ ფაქტიურად. რა იყო ამის მიზეზი? რა თქმა უნდა, ამის მიზეზი გერმანიის კაპიტალის „გაუბედაობაში“ არ მდგომარეობდა, არც მის სახიცოცხლო ენერგიის მოდუნებაში. პირიქით, გერმანიის სამრეწველო წრეები ყველაზე მეტად იყვნენ აგრესიულად განწყობილი. მაგრამ მთავარი დაბრკოლება ექსპორტის მოწყობაში, საქონლის დაუბრკოლებლად გადაგზავნაში—გზის გაკაფვაში მდგომარეობდა. გეოგრაფიულად, ხმელეთზე ასეთ სიძნელეს, „ჩინურ კედლებს“ გერმანიის ტრანსპორტისათვის სწორედ სერბია წარმოადგენდა. გერმანიის კაპიტალის ინტერესი მოითხოვდა რკინის გზა—ბერლინ - ბაღდადის „ოკუპაციას“. ეს გზა კი სერბიის მიწა-წყალზე გადიოდა. მაშასადამე, ოსმალეთში, კერძოთ—მცირე აზიაში შეპრასათვის გერმანია უსათუოდ უნდა შეჯახებოდა სერბიის ინტერესებს და პირდაპირი გზა გაეკაფა აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ. მაშასადამე, გერმანიის დაპირისპირებას სერბიასთან, გერმანიის დაკავშირებას ავსტრო-ჰუნგრეთთან ჰქონდა ღრმა ეკონომიური საფუძველი. ეს კავშირი და გალაშქრება სერბიაზე შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ისტორიულად აუცილებელი. გერმანია უცდიდა კონფლიქტს, მაოჯეე დროს. ასეთი დროც დადგა 1914 წ. ივლისის მიწურულში.

ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერიალისტურ გეგმების შესახებ ომამდე რამოდენიმე თვით ადრე მოგვითხრო ავსტრიელმა იმპერიალისტმა კასსანდრამ. რა იწვევდა ავსტრიის ამოძრავებას სერბიის წინააღმდეგ? —ივივე ეკონომიური მოსაზრებები, კაპიტალისტურ წარმოების განვითარების საერთო პირობები. ბაზარზე ოცნება ავსტრიის კაპიტალსაც აწუხებდა. ეს ბაზარი მას ბალკანეთში ეგულებოდა. აი რას სწერდა საკუთარი ხელით დასახელებული ავტორი ომის დაწყებამდე 3—4 თვით ადრე: „თითოეული ჯანსაღი სახელმწიფო საკმაოოდ საზღვრების „გაფართოებას, უმთავრესად მცხოვრებთა რაოდენობის გადიდებისა და ნაწარმოების ზედმეტად დაგროვებისა გამო. ასეთ სახელმწიფოს უნდა ყაედეს დამორჩილებული კულტურულად განუვიარებული, საკუთარ წარმოებას მოკლებული ქვეყანა, სადაც შესაძლებელი იქნება საქონლის გასაღება კონკურენციის გარეშე და საიდანაც უბადოოთ და იაფად მიიღებს ნედლ მასალას. ჩვენ (ე. ი.—ვსტრიას. გ. მ.) ვეაქვს საქონლის ეატანის უდიდეესი საჭიროება, მაგრამ არაფერს ვკეთებთ იმისათვის, რომ შესაძლებელი გავხადოთ ეს გეტანა“. რა უნდა ქნას კაპიტალისტების მთავრობამ? კასსანდრა სასოწარკეეთით ეანგარძობს: „დედამიწის ზურგზე უკვე არაა თავისუფალი მიწა... არც ერთი ზღვის იქითა მდებარე ახალშენის მიღება არ შეიძლება... ამიტომ უნდა დავთანხმდეთ იმას, რაც ჩვენს კარებთან გაიჩინა ბედმა. ჩვენ უნდა ავიღოთ ბალკანეთი, ხოლო თავი უნდა გაუსისხლანოთ იმას, ვინც გადაგვეღობება წინ ამ მიზნის შესრულებაში“. ავსტრიას კასსანდრას აზრით, აქეს ამის შესაძლებლობა. ავსტრია დაუშვებს დიდს შეცდომას, თუ გუდზე ხელდაკრეფით დაუწყებს ცქერას იმას, თუ როგორ იზრდება, ძლიერდება, ეაქაცდება სერბიის სახელმწიფო. ამიტომ ავსტრია უნდა მოეშალოს მთელი ძალღონით ომისათვის. „შეიარაღდით თავიდან ფეხებამდე—ბაკიკეის კასსანდრა,—მიანდომეთ შეიარაღებას დღე და ღამეც, მხოლოდ ვიყოთ მზათ, როდესაც დადგება გადამწყვეტი დღე. ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული 2—3 წლით მტრების კიდეც შეჩერებისაკენ, ე. ი. იმ დრამდე, სანამ ჩვენ მოვეამზადებთ და შეეცადნეთ შეძახებას: ბალკანეთი გვეპრიდეს ჩვენ და უნდა ავიღოთ იგი ხელო ვინც გადაგვეღობება წინ, მას ჩვენ გავგზავნით შინ თავისისხლიანს“. ასე მოგვითხრობდა ავსტრიის კაპიტალისტების გეგმას იმპერიალისტი კასსანდრა. ცხადია, ასსნა-განმარტება ამ მოთხრობას არ სჭირდება. იგი თავისთავად ლაპარაკობს.

მაშასადამე, გერმანია ემზადება ომებს ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთ-ერთ ინგლისელი სპეციალისტის სიტყვებიდან: „ტეხნიკური დაწინაურება ნათლად შეგიძლიათ გაითვალისწინოთ იქედან, რომ ამერიკის დიდი უმეტესი ქალაქებისა და მიდამოებისა შეიძლება განადგურდეს ომის გამოცხადების შემდეგ სამი დღის განმავლობაში... არსებობს სპეციალური გაზი, იმდენად ძლიერი, რომ დაუყოვნებლივ სპობს ყოველივეს ვინც მას შეისუნთქავს“...

1914 წ. ბურჟუაზიამ შესძლო სოციალ - გამყოფელების დახმარებით მშრომელ მასების ჩათრეა საერთაშორისო ომში. აქეს თუ არა საშვალება ბურჟუაზიას მომავალ საერთაშორისო შეტაკებაში კვლავ ჩათრიოს მშრომელი მასები და გამოიყენოს ისინი თავისი მიზნებისათვის? საერთაშორისო პროლეტარიატის ორგანიზაციული მდგომარეობა დღეს სხვაგვარია, ვინემ ეს იყო 1914 წ. მაშინ გაბატონებული იყო მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ფაქტიურად გახრწნილი აღმოჩნდა თავიდან ბოლომდე. დღეს პროლეტარიატმა საკმაო გამოცდილება მოიპოვა და შექმნა უდიდესი რევოლიუციონური ორგანიზაცია კომინტერნის სახით, რომელიც თავის გარშემო რაზმავს მილიონობით პროლეტარულ რაზმებს. უკმაყოფილება მშრომელ მასებისა დღევანდელი სოციალური მდგომარეობით ფრიად საგრძნობია. კაპიტალიზმმა ჯაჯოხეთური პირობები შექმნა პროლეტარიატისათვის. ამ პირობების წინააღმდეგ ბრძოლა დღითი დღე უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ეს გამწვავებული კლასიური ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალიზმის კრიზისისა.

საკმარისია ასეთს პირობებში კაპიტალმა კვლავ წამოიწყოს ახალი საერთაშორისო ომი, რომ მან სასტიკი პროტესტი და წინააღმდეგობა ჰპოვოს პროლეტარიატში. პროლეტარიატი ვერ შეძლებს ხელი შეუშალოს საერთაშორისო ომის დაწყებას, მაგრამ ის შესძლებს ეს ომი საზოგადოებრივ ომად, საერთაშორისო რევოლიუციათ გადაქცეოს და ოქტომბრის გადატრიალებით დაწყებული ეტაპი ამ საქმე თავის ლოგიკურ ბოლომდე მიიყვანოს.

სიმონ ხუბულაძე.

საერთაშორისო პროფმოძრაობა და ომი

იმპერიალისტური ომის გავლენა პროფორგანიზაციებზე.

უკვე იმპერიალისტური ომის პროველსავე დღეებში პროფესიონალურმა კავშირებმა იწყეს ყველა ქვეყნებში შეკუმშვა. მსხვილმა მობილიზაციებმა გამოგლიჯეს მუშათა კლასის რიგებს ხალხი ასიათასობით და მილიონობით. მაგ. გერმანიაში, სადაც ომის წინადღეებში, ითვლებოდა პროფკავშირის 3 ნახ. მილიონი წევრი, 1915 წლისათვის იყო მხოლოდ 1 ნახ. მილიონი, ხოლო რეფორმისტულ კავშირებში 2 ნახ. მილიონის ნაცვლად 1 მილიონზე ნაკლები. საფრანგეთის შრომის კონფედერაცია, რომელსაც ომის დაწყებამდე 500 ათასი წევრი ჰყავდა, 1915 წლის დასასრულს აერთიანებდა არა უმეტეს 150.000 წევრისა. უდიდესი ეკობრიები შემცირება მოხდა აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც.

ამგვარად, ომმა პროფესიონალურ მოძრაობაზე უშუალო გავლენით გადოიწვია—პროფკავშირების შეკუმშვა, წევრთა რაოდენობის შემცირება და ერთ-ერთ ადგილებში ეროვნული ეკონომიური ცხოვრებისა. ომის დასაწყისში საფრანგეთის ერთმა ყველაზე მეტად მოლაკე მეარეხენე სოციალისტმა გუსტავ სერვენ, რომელიც ელეისებურსა სასრაფოთ სოციალ-პატრიოტად გარდაიქცა, ამ ეკონომიკის შესახებ თქვა შემდეგი: „ომის რკინისებური ალეთი შეპარობილმა მუშებმა, რომელნიც ამავე ხელით ატეკრცენ ან ნადგზე იგრძენეს; ყოველი ეუშათაგანი, მოვლენათა ასეთ გრიალში მოქცეული, დაეცა თავის ძმობლიურ მიწაზე“.

ასე სწრაფად შესცვალეს თავიანთი შეხედულება არა მარტო რეფორმისტებმა, არამედ ანარქო-სინდიკალისტების მნიშვნელოვანი ნაწილაც, რომელმაც ერთბაშად იგრძნეს, რომ სამშობლო მათ ჭეშმარიტ, თუმცა წინად ისინი თავის ანტიპატრიოტიზმით ამაყობდენ.

... ომის ... ლიდერების შოკინგი.

ომი პროფკავშირების ლიდერებს ძორის ყველაზე მეტად დაძახასიათებელია მთელი სამხედრო პერიოდისათვის. ომი სწარმოებდა არა მარტო ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიისა ერთი მხრივ და მეორე მხრივ გერმანიის ბურჟუაზიის შორის, არამედ მეომარ ქვეყნების სოციალისტებსა და პროფკავშირებს შორისაც. ყველა მეომარ ქვეყნებში პროფკავშირებში დარაზმულ მუშებს იმპერიალისტური ბურჟუაზია ჰგზავნდა ბრძოლის ფრონტზე, რათა ტყვიის-ბაგრკვეველებით ამოეტლიტათ თავიანთივე ამხანაგები, ამავე დროს კი გაჩაღდა ბრძოლა ანტანტის ქვეყნების აროფკავშირებისა და ცენტრალური სახელმწიფოების პროფკავშირებს ძორის.

დაიწყო ჰოლემიკა, იდეური ბრძოლა, რომელის დროსაც ერთი ძხარის—ანტანტის წარმომადგენელნი ამტკიცებდენ, რომ კაიზერის ზურგის გამაგრებით გერმანიის პროფკავშირებმა უღალატეს საერთაშორისო სოციალიზმის პრინციპებს, ხოლო მეორე მხარე ამტკიცებდა, რომ მოღალატე სწორედ ანტანტის კავშირები არიან, რადგან ისინი ზურგს უმაგრებენ ბურჟუაზიას, რომელსაც რუსეთის ცარიზმთან აქეს კავშირი.

ინგლისში მინისტრსა და პროფკავშირებს შორის მომხდარ შეთანხმებით გაუქმებულ იქნა შინაგანი რეგლამენტი, რომელიც იკავდა და იფარავდა შრომას. გერმანიისა და სხვა ქვეყნებში პროფკავშირებთან შეთანხმებით დაწესებული იქნა განუსაზღვრელი სამუშაო დღე.

ამგვარად ომის პერიოდში პროფკავშირები გახდენ ომის საძირკველი და იღებდენ აქტიურს—იდეურ პოლიტიკურ და თვით სამხედრო მონაწილეობას საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტაში.

ტყუილად ხომ არ ამბობდა 1916 წელს მილიონეთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში ლიდ-ჯორჯი: იმ გამარჯვებაში, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ დასავლეთის ფრონტზე, მოიპოვეს ინგლისელმა ჯარებმა, თქვენ,—მილიონერებმა მიიღეთ მეტად დიდი და გადამწყვეტი მონაწილეობა“.

... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

... ინტერნაციონალის ... ...

... ტებმა სცადეს ლიდსში (ინგლისი) მოეწყოთ კონფერენცია და ამ კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყოთ ანტანტის ახალ პროფკავშირთა ინტერნაციონალისათვის. ყოველთვის, როცა ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენელნი წინადადებას იძლეოდენ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ იმ მიზნით, რომ გაემართათ მხოლოდ ერთ და იმავე პროფესიონალურ ინტერნაციონალის წევრთა თათბირი, მეომარ ქვეყნების წარმომადგენელნი სასტიკს უარს აცხადებდენ და ვერ წარმოედგინათ დამჯდარიყენენ ერთად ერთი და იმავე მაგიდის წინ.

პროფესიონალური მოძრაობა დაიყო დიპლომატიური პრინციპის მიხედვით სხვადასხვა კოალიციებად და ეს იყო უმაღლესი წერტილი, რომლამდისაც მიაღწია საერთაშორისო მუშათა და პროფმოძრაობის დაშლამ და განადგურებამ.

კოკავშირთა გამარჯვების გავლენა მსოფლიო პროფმოძრაობაზე.

მოკავშირეთა გამარჯვება მოსწავლებდა არა მარტო ანტანტის ქვეყნების გამარჯვებას გერმანელ და ავსტრიელ ხალხებზე, არამედ გამარჯვებული ანტანტის პროფკავშირეთის გამარჯვებასაც გერმანიის და ავსტრიის 1როფკავშირებზე.

ანტანტის გამარჯვებასთან ერთად მოსპობილ იქნა გეგემონის ის მდგომარეობაც, რომელიც ომამდე იკავია გერმანიის პროფმოძრაობას. ბოფლიო პროფმოძრაობის გეგემონი გახდენ ინგლისელები, რაც შეესაბამება ინგლისის ბურჟუაზიის ეკონომიურ გეგემონიას. ამგვარად, მუშათა ძოძრაობის განვითარება, პროფორგანიზაციების განვითარება, მეტადროდ გადაესკვნა კაპიტალიზმის ეედილბალს.

რევოლიუციონური პროფორგანიზაციების ჩასახვა.

მუშათა მოძრაობის იმპერიალისტურ ომთან შეგუების დროსვე აწარმოებდა ომისადმი მძულვარეობის წარმოშობის და მისი გაძლიერების მეორე პროცესიც. ჯერ კიდეც ომის დროს, მუშათა კლასზე ბურჟუაზიული საზოგადოების ეგოლენასთან პარალელურად თავი იჩინა ბურჟუზიულ საზოგადოების უარყოფის ტენდენციამ, რომელიც პირველ პერიოდში მეტის-მეტად სუსტი იყო და გამოხატულებას ჰპოულობდა ალაგ-ალაგ მხოლოდ კერძო გამოსვლებში. მაგრამ მუშათა მოძრაობამ იწყო გამოფხიზლება-გამორკვევა და თავის წყაღიდან წარმოშვა ახალი მიმდინარეობა და ახალი ძალები, რომელთაც ომის შემდეგ პერიოდში შექმნეს წეთელ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნაკლულევანებანი

აბასთუმანის ქარხნის გამგე მოქ. ვაშაკიძე

სოფელ აბასთუმანში (ზუგდიდის მაზრა) არსებობს სახელმწიფო ღვინის ტრესტის მე-5-ე ქარხანა. ამ ქარხანას აქვს 17 დესეტინა მიწა, სადაც გაშენებულია [illegible] ულტურული მცენარეები და ხეხილი. დიდ ყურადღებას იპყრობს საუკეთესო ხარისხის მანდარინის პლანტაცია. ამ ქარხანაში კულტურულმა მუშაობამ დიდათ შეუწყო ხელი თემის მცხოვრებთა წინსვლას.

ქარხანამ დაიმსახურა დიდი ყურადღება და გლეხობაც თავის მხრივ დიდ დახმარებას უწევდა. მას 1921 წელს, როდესაც მენშევიკები გარბოდნენ საზღვარ-გარედ და გზაზე ანგრევდნენ ყველაფერს და თუ მათ რამე გადარჩა, იმასაც შავი ძალები იტაცებდნენ, ამ დროს აქ ხალხმა თვით დაიცვა ეს ქარხანა. ერთი მანეთის ზარალიც არ ყოფილა. 1922 და 1923 წლებშიც, როდესაც ქარხანას არ ერნენდა ძირითადი თანხა მოსახლეობამ მიაწოდა ქარხანას ნისიათ ნედლი და სათბობი მასალა, მუშა-მოსამსახურეებსაც რამოდენიმე თვე ჯამაგირი არ მიუღიათ. ბოლოს თვით ნაწარმოების რეალიზაციისაგან შემოსული თანხით დაიკმაყოფილეს თავი. მუშები ჯამაგირს ღებულობდნენ სამ თვეში ერთხელ.

მოუხედავათ ზემოაღნიშნული უარყოფითი მხარეებისა, მუშები ყოველთვის შეგნებით ხვდებოდნენ ქარხნის საქმეს. — ფიქრობდნენ, თანდათან საქმე გამოკეთდება და მუშა-მოსამსახურეების საქმე გაუმჯობესდებაო. მაგრამ საქმე სულ უკუღმართად დატრიალდა.

ვამოგზავნეს გამგედ მოქ. **კ. ვაშაკიძე**, რომელსაც დიდი ტრაბახის თავი აქვს. ვაშაკიძემ ჩამოსვლისთანავე წუნი დასდო ყველაფერს და სთქვა — ქარხანა თავის დონეზე არ არის დაყენებულიო. მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ კ. ვაშაკიძემ ქარხნის საქმეების გაძღოლის მაგიერ ლოთობით გაითქვა სახელი. თუ სადმე ახლო მახლო არის ქეიფი, ის აუცილებლად თამადაც უნდა იყოს იქ.

გაიძახის: „მეგრული თამადობა უნდა შევისწავლოთ. ის ამ წლის მაისში, როდესაც მართავენ ამ თემში დღესასწაულს, ძალზე დაითვრა და დიდი აურზაური ასტეხა, ძლივსღა გადარჩა ცოცხალი. აღნიშნული ვაშაკიძე ხშირად ითვრება მოიჯარადრეებთან, ქარხნის საკმეებით კი დიდათ არ იწუხებს თავს, ხშირათ ჩადის ზუგდიდში საქეიფოთ და ცხენის საკენებლათ.

ქარხანაში ყოფნის დროს ვაშაკიძე იჩენს „დიქტატორობას“ და უხეში სიტყვით მიმართავს მუშებს. თავს გრძნობს, როგორც ბატონი. ქარხნის მოსამსახურე ქალი თავის პირად მოსამსახურედ გადაიყვანა.

როდესაც ქარხანაში მუშაობის სეზონი გათავდა და მუშებისგან მხოლოდ ისინი უნდა დარჩენილიყვნენ, ვინც აუცილებლათ საჭიროა, ამ დროს კ. ვაშაკიძე აძლევს წინადადებას ერთ ერთ მუშას—სამი დღის განმავლობაში გაანთავისუფლოს ქარხნის მიდამო, ეს ძველი მუშაა, ნამდვილი პროლეტარი. არა აქვს ადსად თავშესაფარი, მას 30 წლის მუშაობის სტაჟი აქვს შენობა, სადაც ცხოვრობს ეს მუშ. არავისთვის არ არის საჭირო მომავალ წლის სეზონამდე და რათ უნდა იქნას უთავშესაფაროთ დატოვებული ძველი მუშა? საჭიროა ქარხნის გამგის ასეთ უპასუხისმგებლო თარეშს და მოქმედებას დროზე მიეცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

ეგრისი.

სასგანკომის საქანცელარიო ნივთების მაღაზიის რევიზია

ამ მაღაზიის რევიზიამ, რომელიც ჰოახდინა საქ. მუშთა და გლეხთა ინსპექციამ, აღმოაჩინა იქ არეულ-დარეული და ქაოსი, რაც მიეწერება მაღაზიის გამგის მოქ. შვარცის სამსახურისადმი უგულებელყოფას, რისხვისაც ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა მოხსნილ იქნეს მოქ. შვარცი თავის თანამდებობიდან და მიცემული პასუხისგებაში.

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში პიროდი შემადგენლობის გადასინჯვის შედეგად, რომელიც აწარმოვა მ | გ. ინსპექციამ, მოხსნილ იქნებიან 20-მდე თანამშრომელი, როგორც თავიანთი თანამდებობათა შეუფერებელნი.*)

*) შესრულებულია თუ არა ეს დადგენილება სახგანკომის მიერ.

რ ე დ.

ჰარტიული ცხოვრება

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მსმენელთა გასაგზავნათ

საქართველოს კ. პ-ის ყველა საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს

გიგზავნით რა ამასთანავე ს. ს. რ. კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში და, კერძოთ, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა განწოლების ცხრილს, საქართველოს კ. პ. ც. კ—ტი წინადადებას გაძლევთ სასწრაფო წესით და არა უგვიანეს 15 აგვისტოსა წარმოადგინოთ ს. კ. პ. ც. კ-ს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნ კანდიდატთა სიები.

კანდიდატების შერჩევისას ადგილობრივმა ამრჩევმა კომისიებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი სოციალურ მდგომარეობას, უკვე მიღებულ აკადემიურ და პოლიტიკურ განათლებას, პარტიულ სტაჟს, ეროვნებას, ჰასაკს და პრაქტიკულ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას.

ადგილების განაწილება

უმაღლესი საექიმო სასწავლებლები. სარატოვის უნივერსიტეტში—ერთი და დონის უნივერსიტეტში—ერთი.

საექიმო ინსტიტუტები.

საექიმო ცოდნათა ლენინგრადის ინსტიტუტში—ერთი და ყუბანის საექიმო ინსტიტუტში—ერთი.

უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.

ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში—ერთი, ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—ერთი, დონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — ერთი, მთიულეთის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში — ერთი, სარატოვის სავეტერინარო ინსტიტუტში—ორი და მოსკოვის მიწის-მზომელთა („მეტვეური“) ინსტიტუტში—ერთი.

სოციალ-ეკონომიური.

მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტში—ერთი და კარლ მარქსის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში—ერთი.

საქართველოს კ. პ. ც. კ. მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ 1) მიღება სწარმოებს კლასობრივ პრინციპით (პირველ რიგში მიიღება მუშა-გლეხები), 2) უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მიღებულ იქნებიან ზხოლოდ მუშათა ფაკულტეტების მოსწავლენი, 3) მიმდინარე წელს მივლინებული მოსწავლენი, სწავლენი **სტიპენდიით უზრუნველყოფილი არ იქნებიან** და საამისო საშუალებანი აღმოჩენილ უნდა იქნეს ადგილობრივ პარტორგანიზაციების ან თვით სასწავლელათ გაგზავნილ მოსწავლეების მიერ.

საქართ. ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი

კოსტანიანი.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო **განყოფილ.** გამგე

ბახტაძე.

უმაღლესი სახელოვნო სასწავლებლები.

თეატრალურ ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში—ერთი, ლიტერატურულ-სამხატვრო ინსტიტუტში—ერთი, სახელმწიფო კონსერვატორიაში—ერთი და ლენინგრადის უმაღლეს სამხატვრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში—ერთი.

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები

სკოლის გარეშე განათლების ინსტიტუტში—ერთი, ნორმალურ და დეფექტიან ბავშვთა სოციალურ აღზრდის ინსტიტუტში—ერთი, ჩრდილო-კავკასიის პედაგოგიურ ინსტიტუტში—ორი, კავკასიის აღმოსავლეთის ინსტიტუტში—ორი, მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტში—ერთი, დონის უნივერსიტეტში—ერთი, სარატოვის უნივერსიტეტში—ერთი და მოსკოვის სატყეო ინსტიტუტში—ერთი.

ს. ს. რ. კავშირის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში—ჩვიდმეტი (17). სულ—44 ადგილი.

კოოპერაცია

ამიერ-კავკასიის მე-3 კოოპერატიული კონფერენცია

ამა წლის 5 აგვისტოს თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის მესამე კოოპერატიული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები; 1) კოოპერაციის ამოცანები რ. კ. პ. მე-13 ყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით (**ამხ. მიასნიკოვის მოხსენება**). 2) ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ცენტრის დაარსებისათვის, 3) ამ.-კავ. შინა-გაერობის სახალხო კომისარიატის მოხსენება, 4) სრულიათ რუსეთის კოოპერატიულ ბანკის თბილისის განყოფილების მოხსენება, 5) ამიერ-კავკას. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის მოხსენება და 6) არჩევნები.

კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: ნაციონალურ კოოპერატიულ კავშირებს ეძლევა **ოთხი** ადგილი თითოს, ხახიშვანის რაიონის და აფხაზეთის კავშირებისა—**ორ-ორი** თითოს, აჭარის კოოპერატიულ კავშირს—**ერთი**, თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივს, ბაქოს კოოპერატივთა კავშირს, კოოპერატივ „გორნიაკ“-ს, ამ.-კავ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას და ერევნის მთლიან მუშათა კოოპერატივს—**ორ-ორი** თითოს, ბათომის მთლიან მუშათა კოოპერატივს, კასპის ზღვის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას, აზერბეიჯანის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებას, სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება „Воен. ККА“-ს, საქართველოს მთლიან სამხედრო კოოპერატივს, სომხეთის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებას. ამ.-კავ. პროფკავშირთა საბჭოს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს და ამ.-კავ. რკინისგზელთა პროფკავშირს—**თითო** ადგილი.

ადგილების განაწილება

ადგილობრივ ორგანიზაციებს	**ადგილობრივ ორგანიზაციებს**
ბაკურიანი	**ბორჯომი**
ბორჩალო	**ბოლნისი**
ბაზალეთი	**ბაკო**
ბაქო	**ბათომი**
ბორჩალო	**ბოლნისი**
ბაზალეთი	**ბაკო**
ბაქო	**ბათომი**

ქუთაისის მთლიანი მოკმხმარებელი საზოგადოება

ქველი მემკვიდრეობა.

ქუთაისის ერთიანი მოკმხმარებელი საზოგადოება დაარსდა ერთი წლის წინად.

წინანდელი კოოპერაციისგან მან ზარალიანი „მემკვიდრეობა მიიღო: ყველა საკუთარი საბრუნავი თანხები და ფონდები უდრიდა 312 მანეთს და 46 კაპ. საქონელი იყო სავაჭროებში 28.923 მანეთისა, ნაღდი ფული სალაროში უდრიდა 3733 მან. 29 კაპეიკს, ინვენტარი 1701 მან. 61 კაპეიკს, ხოლო ვალებში დაბანდებული იყო 37.499 მანეთი და 97 კაპ.

ამგვარად ოპერაციების დაწყებისას აქტივს სპარბობდა პასივი 3554 ნანეთით და 35 კაპიკით.

ახალი გამგეობის ღონისძიებანი.

ასეთ პირობებში დაიწყო მუშაობა ერ. მომხ. საზ—ის ახალმა გამგეობამ. საბრუნავ საშვალებათა უქონლობის მიუხედავთ, გამგეობამ მოახერხა კრედიტების გახსნა სახელმწიფო საკავშრო ორგანიზაციებსა და ბანკებში, დაატრიალა სხვადასხვა დაწესებულებათა თავისუფალი თანხები, შეისყიდა ერთბაშად ყოველი სახის დიდი ძალი საქონელი, გამოაცოცხლა სულთმობრძავი დაწესებულება და თითქმის ათჯერ გაადიდა მისი ბრუნვა.

ერ. მომხ. საზ-ის ბრუნვა 10 თვეში

თუ წინად ერ. მომხ. საზ-ეის ბრუნვა ათი ათასსაც არ აღემატებოდა, ერ. მომხ. საზ-ის ამოქმედების შემდეგ ეს ბრუნვა და ზრდა შემდეგში გამოიხატა:

1923 წ. სექტემბერ.	21.282 მ.	07 კ.
„ „ ოქტომბ.	27.613 მ.	58 კ.
„ „ ნოემბერ.	20.879 მ.	30 კ.
„ „ დეკემბერ.	41.904 მ.	30 კ.
1924 წ. იანვარში	17,000	—
„ „ თებერვალში	44.181	—
„ „ მარტში	50.959	66 კ.
„ „ აპრილში	61.930	45 კ.
„ „ მაისში	56.646	— ივნისში — 126.248 მანეთი.

მთელი საქონლის ბრუნვა 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე უდრის 111.676 მ. 74 კ. საერთო ხარჯში კი დაწესებულებას ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა: 23.415 მ., რაც 20,9 პროც. შეადგენს.

მდგომარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე იყო საქონლის ბრუნვა 356.968 მ. 11 კ., ამ ხნის განმავლობაში საერთო ხარჯები უდრის 50.324 მანეთს, რაც შეადგენს 14 პროც. მთელი ბრუნვისას.

ზემოხსენებულ საერთო ხარჯებში შედის ბაღაზიათა შენობების გადაკეთებაზე დახარჯული თანხა 3000 მანეთამდე, რის გამოკლებით პროცენტული შედარება საქონლის ბრუნვისა და საერთო ხარჯებს უფრო ნაკლები იქნება.

მექანიკური ქარხნის და ლითონის განყოფილების გაერთიანებისათვის

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან).

მუშათა და გლეხთა ინსპექც. მიერ სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ მოახდინა ს. მ. უ. ს-ის ლითონის განყოფილების და მექანიკური ქარხნის გამოკვლევა, რომლის შესახებ მან მოხსენება წარუდგინა მუშგლეხნის კოლეგიას. და ცენტრ. საკონტროლო კომისას. მოხსენების თანახმად ზომხსენებულმა დაწესებულებებმა საჭიროდ სცნეს მოახდინონ დასახელებულ წარმოებათა კონცენტრაცია ტრესტის საფუძველზე—იმ მიზნით, რომ შეტანილ იქნეს ერთგვარი გეგმა და წონასწორობა იმ წარმოებათა დატვირთვაში და აგრედვე შემცირებულ იქნეს ზედნადები ხარჯები. ის ზედმეტი მუშა ხელი რომელიც დარჩება კონცენტრაციაქმნილ ლითონის განყოფილების გარეშე, შეიძლება გადაყვანილ იქნეს მექანიკურ ქარხანაში.

ლითონის განყოფილების შიგნით მოახდარი კონცენტრაცია მოსპობს ზედნადებ ხარჯებს, რომელსაც იწვევს დახურულ სახელოსნობის მეურნეობის წარმოება (ხარჯები უძრავ და მოძრავ სატეხნიკი მოწყობილების შესაკეთებლად და დასაცავად, სამეურნეო და ადმინისტრატ. პერსონალის შენახვა, განათება-გათბობა და სხვა).

მეორე მხრივ დარჩენილ ქარხნების დატვირთვის გადიდება მოგვცემს ზედნადები ხარჯების ეკონომიას, რაც ხელს შეუწყობს **პროდუქციების** გაიაფებას.

ინსპექციის და საკონტროლო კომისიის აზრით, ტრესტი უნდა მოეწყოს შემდეგ საფუძვლებზე.

ტრესტის საერთო და ფინანსიური ნაწილის ხელმძღვანელად ინიშნება წითელი დირექტორი, რომელსაც საწარმოო სატეხნიკო და კომერციული ნაწილების სამმართავად მიჩენილი ჰყავს ორი თანაშემწე.

სამმართველოსთან დაარსებული იქნება **საწარმოო** ტეხნიკური განყოფილება, სადაც ცალკე ქარხნების გამგეებთან ერთად უნდა დამუშავდეს საწარმოო გეგმა, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია, ესავე განყოფილება აწესრიგებს მუშაობას ცალკე ქარხნებში. სამმართველოსთან იარსებებს აგრეთვე კომერციული განყოფილება, რომელიც განაგებს ყიდვის, წინასწარ საწარმოო გეგმით შემუშავებულ მოძარაგების, და დამზადებულ პროდუქტების გასაღების საქმეებს, და საზოგადოთ ასრულებს ყველა კომერციული ხასიათის ფუნქციებს, ტრესტის ბუხჰალტერია, სადაც გახსნილი უნდა იქნეს პირადი ანგარიშები ყოფილ მექანიკური ქარხნის და ლითონის განყოფილებისათვის, გაერთიანებულ უნდა იქნეს ცენტრში და დაექვემდებაროს ტრესტის დირექტორს.

წარმოების ორგანიზაცია ადგილებზე.

ყოველ საწარმოს სათავეში ჩაყენებული იქნება გამგე და მისი თანაშემწე ინჟინერი-მწარმოებელი, რომლის განკარგულებაშიც იქნება საკონსტრუქტორო ბიურო. წარმოების სამეურნეო ნაწილი დაექვემდებარება ტრესტის კომერც. განყოფილებას. ადგილობრივ ქარხნებში შემოღებული ანგარიშის წარმოება დაექვემდებარება ცენტ. ტრესტის ბუღალტერიას. მცირე შეკეთების და ზოგიერთი ტეხნიკური მოწყობილობის და აგრეთვე იმ მასალების გადატანა, რომელიც მომაგრებულია საარტელერიო სამმართველოზე. დანარჩენ შეკეთებები ტრესტი საჭიროებისამებრ განაგებს და პატრონობს მექანიკურ ქარხანას.

არა მწარმოებელი ელემენტების დიდი რაოდენობით გამოწვეული და გაზვიადებულ ზედნადები ხარჯების შესამცირებლად უნდა მოხდეს არა მწარმოებელ ე. წ. დამხმარე ელემენტების მინიმალურ ნორმამდე შემოკლება. ამასთანავე ცალკე ლითონის განყოფილებასა და მექანიკურ ქარხანაში უნდა მოხდეს საწყობების ქონების ცენტრალიზაცია, ხოლო ის ქონება, რომელიც ტრესტს არ გამოადგება, უნდა იქნეს გაყიდული. დასასრულ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენმა მომხმარებელმა სახელ. და სახ. დაწესებულებებმა ყველა მათთვის საჭირო საგნები შეუკვეთონ.ამ დამამზადებელ ქარხნებს, თუ, რასაკვირველია, ეს ხელსაყრელი იქნება შემკვეთელ დაწესებულებებისა თავის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ზაჰესის საშუშვერებს, რომლის შეკვეთაც საგრძნობლად დატვირთავს ლითონის ტრესტს.

აღნიშნული მოსაზრება ინსპექციამ გაუგზავნა ს. მ. უ. ს. ს. პრეზიდიუმს სხვრულეში მოსაყვანად.

საბჭოთა სასამართლო

უზენაეს სასამართლოში

იური პეხოვსკის საქმე

მიმდინარე წლის ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ოლქის სასამართლომ ვაარჩია იური პეხოვსკის საქმე. ხსენებულ ბრალდებულს დადებული ჰქონდა ქართული დივიზიის ცხენოსან ათასეულთან ხელშეკრულება, რომლის ძალით მას უნდა ჩაებარებია ათასეულისათვის ცხენების განსაღვრული რაოდენობა. პეხოვსკის ჩაუბარებია ათასეულისათვის 89 ცხენი, რაც შეადგენს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ რაოდენობის უმცირეს ნაწილს. დანარჩენ ცხენების შესაძენათ წინდაწინ მიღებული ფული კი პეხოვსკის ათასეულისათვის არ დაუბრუნებია ოლქის სასამართლომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ჩასთვალა ს. ს. კ. 134 მუხლში გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებათ. ეს მუხლი კი გულისხმობს სახელმწიფოსადმი წინასწარ განზრახულ ზარალის მიყენებას. თანახმად ამ ბრალდებისა, პეხოვსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით და მთელი მისი ქონების **კონფისკაცია.**

ბრალდებულმა საქმე განისაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც, განიხილა რა საქმე, დაარღვია განაჩენი იმ ნაწილში, რომელშიაც ხელშეკრულების შეუსრულებლობა ჩათვლილია სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებათ. საკასაციო საკრებულოს რეზოლიუციია აღნიშნავს, რომ ოლქის სასამართლოს არავითარი საბუთი არ მოუყვანია იმის დასამტკიცებლათ, რომ ხელშეკრულების დარღვევის მოტივი იყო ბოროტი მიზნით წინასწარ განზრახული ზარალის მიყენება. პირიქით, როგორც საქმიდან სჩანს, დავალების შესრულების საწინდრად, პეხოვსკის ათასეულისათვის დაუგირავებია თავისი სახლი, რაც სრულად ეწინააღმდეგება პეხოვსკისადმი წარდგენილ ბრალდებას. აღნიშნულის გამო პეხოვსკის საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს, რათა ის გარჩეულ იქნეს სამოქალაქო სამართლის წესით.

სოლოდენკოს და მოშიაშვილის საქმე

დღეს, 29 ივლისს მესამე უბნის სახალხო სასამართლოში დაიწყება მოქალაქე ხოლოდენკოს და რახიდ მოშიაშვილის საქმის გარჩევა. როგორც ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, ხოლოდენკოს ბრალათ ედება ანგარიშის სიმეავის შესხმა სტუდენტ შარაშიძისათვის. წინასწარ განზრახულ შურის ძიების მიზნით, ხოლო ბრალდებულ რახიდ მოშიაშვილს—ამ ბოროტმოქმედების წაქეზება.

ქრონიკა

— **ჟურნალი „მნათობი“.** ჟურნალი „მნათობი“ № 4 (რომლის შინაარსი უკვე გვქონია მოთავსებული) უკვ დაიბეჭდა და **ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ.**

— **ტრამვაის რონდღების შეკეთება.** ივლისის განმავლობაში ტრამვაის სახელოსნოების მიერ შეკეთებულია 15 რონდოა.

— **აბანოების შეკეთება.** ქალ. აბანოების სამმართველომ დაამზადა და ადგილობრივ მიიტანა საჭირო მასალა „გოგილოს“ და ცოვიანოვის აბანოების შესაკეთებლათ.

— **კურორტ ბახმაროზე.** აგარაკ ბახმაროზე გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

— **ახალი წითელი სახადილო.** ტფილისის დამზღვევი კასის პენსიონერებმა ყოფ. „შამპანის“ რესტორანის შენობაში მოაწყვეს წითელი სადილო.

— **წიგნების გამყიდველთა არტელი.** შრომის ბირჟასთან ეწყობა ტფილისში და პროვინციაში წიგნების გამყიდველთა არტელი.

— **რამდენი ყაჩაღი გამოცხადდა.** ექვსი თვის განმავლობაში მთელ საქართველოში თავის ნებით გამოცხადდა მთავრობის წინაშე 123 ყაჩაღი.

— **ბრძოლა ლოთობასთან სოფლათ.** საჩხერის გლეხკომმა ლოთობასთან ბრძოლის მიზნით გახსნა წითელი სასადილო. სასადილოს მოწყობის შედეგათ საჩხერეში იხურება სამეკიტნოები.

— **დახმარება ღარიბ გლეხებს.** საჩხერის გლეხკომმა სურსათით, ექიმობით, წამლობით და ფულად 400 მანეთით აღმოუჩინა დახმარება სოფლის ულარიბეს გლეხობას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურა. ქალ. აღმასკომის აგრონომიულ ქვე-განყოფილების მიერ მიღებულია ზომები მაზრაში საკეთებ მცენარეულობათა კულტურის გასავრცელებლად. ამ მიზნით განზრახულია დათესვა ჭარხლის და სხვა.

— **ბულაჩაურის წყალსადენი.** კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მიერ საჭიროთაა ცნობილი შესაფერი თანხის გადადება ბულაჩაურის წყალსადენის გამოსაკვლევათ.

— **წიგნების დარიგება წითელარმიელთათვის.** აპარის მთავრმა პოლიტგანათლებამ დაურიგა წიგნები 160 უვადო შეებულებაში წასულ წითელ არმიელს.

— **წყალსადენი სოფლად.** თელავის სამაზრო აღმასკომმა ნება დართო სოფ. კურდღელაურის აღმასკომს გაიყვანოს ადგილობრივ წყალი.

— **მეფუტკრეობა.** შორაპნის მაზრაში ეწყობა მეფუტკრეობის განყოფილება.

— **ეკლესიის ეზო ბაღათ.** ქალ. ზუგდიდში ყოფ. ეკლესიის ეზოში სწარმოებს მუშაობა ბაღის მოსაწყობად.

— **ისტორიულ ადგილების მოვლა-პატრონობა.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ყოფ. გელათის მონასტრის შენობის შესაკეთებლათ,

ტ ფ ი ლ ი ს ი

მიეშველეთ ჭიათურის რაიონის გლეხობას

ამ ბოლო დროს ჭიათურის რაიონის ფაგრელებში თავი იჩინა ხუზარამ ანუ ციმბირის ყლესულმა, რომელიც შეუბრალებლათ ანადგურებს და ხოცავს საქონელს. ყოველ დღე აუარებელი ხალხი მოდის და ითხოვს შველას სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექიმ ჭიკინაძესგან, მაგრამ ის საქმეს ვერ აუდის.

ქალ. ზესტაფონში სცხოვრობს ბეითალი გ. ცხადაძე, რომელიც არ თანხმდება ჭიათურაში გადმოსვლაზე და ამნაირათ ჭიათურის რაიონის გლეხობა მოკლებულია სტაქიური უბედურების დროს სათანადო დახმარებას.

წინათ დაბა საჩხერეში იმყოფებოდა მეორე ბეითალი მერმანიშვილი, რომელიც ერთ-ხანზე, (მაშინ როდესაც მაზრა და ჭიათურის რაიონი ასეთივე განსაცდელში იყო) ცენტრის მიერ რაჟის მაზრაში გაიგზავნა და შემდეგ სრულიად მოიხსნა სამსახურიდან; აღმასრულებელმა კომიტეტმა არა ერთხელ სთხოვა მაწყად-მოქმედების სარჩლო კომისარიატს დანიშნა მაზრაში ექიმ ვეტერინართა გამრავლების მხრით, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო, ვინაიდან კომისარიატს სპეციები ნაკლებად ჰყოლია და აღმასკომს ნება დართო თავის ხარჯზე აეყვანა და გაედიდებია მაზრაში ვეტერინართა რიცხვი. მაგრამ თუ თბილისში არ მოიპოვებიან ვეტერინარები, მით უმეტეს ძნელი და შეუძლებელიცაა მათი გამონახვა შორაპნის მაზრაში, საჭიროა შორაპნის მაზრის დარეკ-ძოდ ჭიათურის რაიონში ვეტერინართა მთელი რაზმის გადმოგზავნა ხუზარას მოსასპობათ, მისი გავრცელების შესაჩერებლად.

ჯანმრთელობის განყ. გამგე ექ. ჭიკინაძე ინტენსიურად ებრძვის ციმბირის წყლულს და სხვა ეპიდემიურ სენის გავრცელებას მასსიურ კრებებზე ლექციების წაკითხვით, ბროშიურების გამოცემით და სხვა, მაგრამ ამ ზომებს გლეხები უფრო ნაკლებად იყენებენ, მათთვის საჭირო პრაქტიკული დახმარება, რომელიც მათ კომისარიატმა უნდა მიაწოდოს, სანამ ვვიან არ არის.

მ. კავთელაძე.

ცოტა რამ ფოთის კოოპერატივის შესახებ

ამ რამოდენიმე დღის უკან ფოთის მომხმარებელი საზოგადოების სარევიზიო კომისიამ მოახდინა რევიზია ხსენებული საზოგადოების მთელი ექვსი თვის ბრუნვისა. შედეგები ამ რევიზიისა ღრმა ჩასაფიქრებელია. დაავალიანება კოოპერატივის დიდათ აღემატება მის ქონებას. სარევიზიო კომისიამ ისიც აღმოაჩინა, რომ წარსულ წელს მთელი წლის განმავლობაში კოოპერატივს უზარალია 2.198 მან. 1924 წელს კი რაღაც ექვსი თვის განმავლობაში წაუგია 2.311 მ.

წარსული წლის ასეთი საგრძნობი ზარალი შეგვიძლია ავხსნათ ბონების ჟურსის დაცემით. მაგრამ ამავე მიზეზებით 1924 წელს მომხდარ ზარალისა ახსნა ყოველად შეუწყნარებელია. ჩვენ ვიცით, რომ თებერვლის თვიდან შემოღებული იქნა ფულის მტკიცე კურსი, რომელიც არავითარ ცვლილებადმას არ განიცდიდა. აქედან ცხადია კოოპერატივის მუშაობაც ნორმალური მიმართულებით უნდა ყოფილიყო წინ და, თუ არ მოიგებდა, ყოველ შემთხვევაში ზარალიც არ უნდა მოეტანა, მით უმეტეს ისეთი საგრძნობი თანხის სახით, რომელიც 2.311 მ. და 74 კაპ. უდრის. თვიური ბრუნვა კოოპერატივის 5000 მან. არ აღემატება. თუ ამ მოვლენას ჩვენ ღრმად ჩაუკვირდებით, უსათუოთ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ. ბოროტ-მოქმედებას თუ არა, საქმისადმი აზკარა გულგრილობას და დაუდევრობას ჭქონებია ადგილი იმ ვაკანტონების მხრივ, რომლებიც ვანაგებენ მას. ასეთი დასკვნა გამოტანა კომისიამაც, რის შემდეგ იგი სამართლიანად მოიქცა: დამნაშავეთ მიუწინა შესაფერი ადგილი—ციხე.

მაგრამ არსებითად ეს საქმეს ოდნავათაც არ შეეილის. კოოპერატივს სჭირია მოვლა, კარგი პატრონი. მისი ამ მდგომარეობაში დატოვება ყოველად შეუწყნარებელია და მასთან დიდი ბოროტებაც იქნებოდა იმ მასის წინაშე, რომლებიც კოოპერატივზე დიდ იმედებს ამყარებდენ, რომ ამით თავი დაეხწიათ ეაჭარ-ჩარჩების სპეკულიანტურ გაუმაძღრობისაგან. ხალხის უკმაყოფილება კოოპერატივის ირგვლივ ფართე ასპარეზს პოულობს და ვინ იცის მომავალში რანაირ ხასიათს მიიღებს ის, თუ აქედანვე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები; ადვილად შეიძლება კოოპერატივს ასული აქტიური წევრი ჩამოსცილდეს. უხალხოდ კოოპერატივი უდაბნოს დაემზგავსება, ხალხი უკოოპერატივოდ ცხოვრების გზაზე გაირიყება, ის გახდება მსხვერპლი გაუმაძღარ ვაჭარ-სპეკულიანტებისა.

ამიტომ ჩვენ მიზნათ დავისახეთ მოვახდინოთ კოოპერატივის სრული რეორგანიზაცია, ძველი მოსამსახურეების ან ერდან განდევნა, გამგეობის დაშლა და ახლის არჩევა. მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ დაგვანახვა, რომ ეს ღონისძიება მიუღებელია.

კოოპერატივის პასიკი ბევრად აღემატება აქტივს ე. ი. მისი ქონებას, ის ქონებაც, რომელიც მას აქვს ნაღდათ, ვერ აღწევს თავის დანიშნულებას, უმეტეს შემთხვევაში უვარგისია, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მომხმარებლისათვის სრულიად მიუწვდომელია. რომ დარჩენილი საქონლის რეალიზაცია მოხდეს, საჭირო დარჩება ზოგიერთი საგნების გადაფასება ე. ი. 40 პროც. დაკლებულ ფასებში მისი გაყიდვა. ეს გარემოება კიდევ უფრო გაადიდებს პასივს ე. ი. ზარალს. ასე რომ მისი რეორგანიზაციაც საქმეს მაინც ვერ შველის, ვალი ვალად რჩება. ახალი გამგეობაც არსებითად ვერავითარ ცვლილებებს ვერ შეიტანს სრული განადგურების კარამდე მიყვანილ კოოპერატივის საქმეში.

საკითხი იბადება: მიიღებს თუ არა ახალი გამგეობა კოოპერატივს იმ სახით, რა სახითაც არსებობს ის დღეს? პასუხის მიცემა ამ საქმეზე მეტად საძნელო საქმეა. ამის შემდეგ დაგვჩენია მხოლოდ ერთი გზა: სრული ლიკვიდაცია ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების, ქონების მოვალეებზე განაწილება, გაუქმება შემოტანილი საწევრო გადასახადებისა, შექმნა ახალი მუშათა კოოპერატივისა და ახალი წევრების მიზიდვა ამ უკანასკნელ-ში. ასეთია მეორე აზრი. თუ ამ ზომებს მივმართავთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშათა კოოპერატივი რეალურ შედეგებს მოგვიტანს. მაგრამ, როგორც ზეგით აღვნიშნეთ. იმასაც უნდა მოველოდეთ, რომ მასაში უკმაყოფილებას დავთესავთ და, ეგეი არ არის, ასეულ საუკეთესო წევრებს დავკარგავთ. მაშ სად არის გამოსავალი გზა? თითქმის ერთ კვირაზე მეტია, რაც ადგილობრივი ამხანაგები ამ საკითხის ირგვლივ თავს ვიტეხთ, მაგრამ გადაჭრილად ვერც ერთ და ვერც მეორე გზას ვერ დავადექით.

ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივაჩნია თვით ცენტრმა გადასჭრას: ის და მოგვცე

მუშათა ცხოვრებიდან

საშინელი სისხლის ღვრის ათი წლის თავზე

დღეს შესრულდა ათი წელი მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ომის ალმა იფეთქა ევროპაში გაუმაძღარი კაპიტალისტებისა და მათი ვეერგვინოსანი მეფეების კარნახითა და ლოცვა-კურთხევით.

თითქმის რთხი წელი გრძელდებოდა ეს ომი მხოლოდ იმისათვის, რომ მდიდარი კლასი ფუფუნებაში ყოფილიყო და ეწარმოებინა შეუბრალებელი ექსპლოატაცია მუშათა კლასის მიმართ, სანამ თვალს გაახილავდა პროლეტარიატი.

დაახლოებით, 20 მილიონი ახალგაზრდა, ძალღონით სავსე ადამიანი შეიწირეს ევროპის ვეშაპებმა და საერთაშორისო ომის სამსხვერპლოზე მიიტანეს აურაცხელი ადამიანების სიცოცხლე, მაგრამ ზავს მაინც ვერ მიაღწიეს დღევანდლამდე და კიდევ უარესი საშინელებით,—სახრჩობი გაზებით, შორს-მსროლელი ზარბაზნებით, „სიკვდილის სხივებით“, ტანკებით, ჰაეროპლანებითა და სხვა ბევრ ანქანებით გაშმაგებულ მზადებაშია ევროპის ბურჟუაზია, მხოლოდ იმისთვის, რომ მან მეტი ბაზარი და გაეღენა მოიპოვოს მთელ ქვეყნიერებაზე და უმოწყალოდ ტყავი გაძროს ისედაც გაძვალტყავებულ მშრომელ ხალხს.

დღესაც მეტი სიმწარეთი არსებობს ის წინააღმდეგობა, რომლის შენელებას ასე გულმოდგინეთ და უშედეგოდ აწარმოებენ ევროპის დიპლომატები.

განა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ენა-მოქნილი დიპლომატია შესძლებს მშვიდობიანობა და კაცთა შორის სათნოება დაამყაროს, როცა ეს წარმომადგენლები გლესილი ხანჯლებით ერთიმეორეს მშვიდობიანობაზე ეგალობიანენ?

და ეხლანდელი ლონდონის მოკავშირეთა კონფერენცია იმას ადასტურებს, რომ ის წინააღმდეგობანი, რომელიც უფრო და უფრო თანდათანობით მწვავდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, **შეიძლება შეაჩეროს და ძირფესვიანად აღმოფხვრას მხოლოდ მუშათა კლასის რევოლიუციონერმა ნებისყოფამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მეთაურობით.**

კაცობრიობა და მუშათა კლასი ომის მოლოდინს თავს ვერ დაანებებს მანამდე, სანამ მუშათა კლასი არ მილეწ-მოლეწავს მდიდართა სალაყბოებს და იმ წესწყობილებას, რომელსაც ბურჟუაზია განაგებს დღეს. და ეს უამი არც ისე შორსაა.

დღეს კი, ათი წლის ომის შესრულების თავზე, ჩვენ მუშათა კლასს, ბეტი სიფხიზლე, მეტი გამჭრიახობა და ენერგია ვვმართებს, რომ უფრო მედგრად და თავგამოდებით დავიცვათ, ჩვენი სოციალისტური სამშობლო და როცა დაჭკრავს საერთაშორისო რევოლიუციის ზარი, ჩვენც შეტევაზე გადავიდეთ და საერთაშორისო პროლეტარიატის გამოძახილზე მზად ვიყოთ ბურჟუაზიისათვის უკანასკნელი ლახვრის ჩასაცემად და მის დასასამარებლად.

ძირს იმპერიალისტური ომი, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

მუშა უ. ჯაში.

მცხეთის დასასვენებელ სახლში

(გემოკვების კავშირის საყურადღებოდ).

მცხეთის დასასვენებელ სახლების სამზარეულოს მოსამსახურენი ეწევიან მძიმე მუშაობას დილის ექვსი საათიდან საღამოს ათ საათამდე. მათი მუშაობა შეუწყვეტელია და ნერვიული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად სადილის რიგიანად მომზადებას ვერ ახერხებენ, რაც იწვევს დამსვენებელთა შორის უკმაყოფილებას.

საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება და მიემატოთ სამზარეულოში თანამშრომლები ნორმალურ პირობებში მუშაობის ჩასაყენებლად, ან მათ მიეცეთ ზედმეტი მუშაობისთვის შესაფერი ხელფასი.

მუშკორი ივანიძე.

ქარხ. „თემქას“ მუშების შეფობა.

„თემქამ“ აიღო სოფ. ქვემოჭალაზე შეფობა, რითაც მჭიდრო კავშირი გაიბა ჩვენ მუშებსა და გლეხებს შორის. გლეხების მდგომარეობას მიექცა დიდი ყურადღება. „თემქამ“ ბევრი რამ საჭირო ნივთები—წიგნები, რვეულები, ფანქრები, ფურგუნი გადუგზავნა გლეხებს. ფურგუნი—ოთხი ცხენით, ფართალი და სხვა დამატებით აჩუქეს მუშებმა სოფლელებს. ყველა ეს ეკუთვნის გლეხების მოსწავლე შვილებს. მანვე გაუხსნა კლუბი, სამკითხველო კლუბში იდგმება უფასო წარმოდგენები. გლეხებს ცოლშვილი გაგზავნა საადგილოდ, სადაც აქვთ უფასო ოთახები.

უნდა უსურვოთ შემდეგშიაც უფრო მეტი ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა „თემქას“ მუშებს გლეხების საკეთილდღეოდ.

ნ. მორ—ძე.

რკინისგზელეგში

სასიამოვნო და დაუვიწყარი ექსკურსია.

ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვ-ლენინგრადში წასული ჩვენი რკინისგზელი ექსკურსანტები დაბრუნდენ თბილისში. აუწერელია ის სიხარული, რომელიც განიცადეს ჩვენმა მუშებმა მოსკოვში და ლენინგრადში. მათ აღტაცებით მიეგებენ მოსკოვის და ლენინგრადის მუშების წარმომადგენლები. მოსკოვში ჩასვლისთანავე მათ მიეგება მოსკოვის პროლეტარიატი და ამხანაგური სიყვარულით დაიწყეს ჩვენ რკინისგზელ-მუშებთან საუბარის ექსკურსანტებმა ინახულეს და დათვალიერეს მოსკოვში კრემლი, ტრეტიაკოვის გალერეია, ისტორიული და ლენის მუზეუმები.

ასეთივე მხიარულათ მიიღეს ჩვენი ექსკურსანტები ლენინგრადში. მათ ინახულეს პეტრე-პავლეს ციხე, სადაც ჯალათი მეფის მთავრობა უხვად სტანჯავდა ჩვენს მუშათა ბელადებს. პუტილოვის მაღლობზე ექსკურსანტები დიდხანს ებაასენ ლენინგრადის მუშებს სხვადასხვა მდგომარეობაზე და პროფმოძრაობის შესახებ.

მხიარული სასიამოვნო იყო მათთან შეხვედრა ჩვენი ექსკურსანტების, შთაბეჭდილება—კი დიდი, აუწერელი დასტოვა ჩვენზე.

ჩვენი ექსკურსანტები ძმურ მადლობას უცხადებენ მოსკოვ-ლენინგრადის მუშებს ასეთი მიღებისათვის.

ინფ. ა—ძე.

რკინისგზის სადურგლო ცეხში.

მშვიდობიან დროს რკინის გზის სადურგლო ცეხში მუშაობდა 70—80 კაცამდე. კანტორის შემადგენლობა კი შემდეგი იყო: 1 გამგე, ერთი თანაშემწე, ერთი მეტაბელი და 3 კანტორის მოხელე. ომიანობის დროს მომუშავეთა რიცხვი აღწევდა 90—100 კაცამდე, კანტორის მოხელენი კი ოვიეა. ეხლა კი მომუშავეთა რიცხვი აღწევს 170 კაცამდე კანტორის მოხელეთა რიცხვმა კი ერთი კაცით იმატა.

წარმოების მხრივ კი ამ ცეხში დიდი განსხვავებაა. ძველ დროზე მუშაობდა ერთი წყება მუშებისა, დღეს კი მუშაობს სამი წყება. მაშინ სადურგლო ცეხი ამზადებდა თვეში 7000-დან 10-ათასამდე კუბიკურ ფუტს დახერხილ მასალას, ეხლა კი ამზადებს 18.000-დან 22 ათასამდე კუბ. ფუტ დახერხილ მასალას, ე. ი. 2-ჯერ მეტს, ვინემ წინად იყო, ესე იგი 200 პროცენტს. ასეთივე პროცენტით იმატა კანტორის საქმეებმაც.

სადურგლო ცეხის გამგე **ვ. ახობაძე.**

რას ვაკეთებთ?

მაისის თვეში რკ. გზათა სამეურნეო საშუალებებით რკინისგზელების მიერ დამზადებულია 557 კუბ. საჟ. შეშა; გმოტანილია ტყიდან—296 კუბ. საჟ. 1 ივნისისთვის ტყეში პირზე იყო 3.188 კუბ. საჟ. იმავე თვის განმავლობაში დამზადებულია ქარხანაში 3.679 ც. ტრავეზი; შეძენილი იყო მიმწოდებლების საშუალებით 28.286 ც.; გამოტანილია ლიანდაგთან 22.553 ც. ჩაბარებული აქტებით 31.370 ც. პირველ ივლისისათვის პირზე იყო ტყეში 18.293 ც. რკინის გზის ლიანდაგთან 22.496 ც. ღირებულება თითო ტრავეზის საშუალოდ 1 მ. 36 კაპ, კუბ. საჟენი შეშისა ღირს 25 მან. 30 კაპ.

ინფ. **კოპ—აძე**

რკინისგზელთა ქრონიკა

— **დახმარების გაცემა.** ა. | კავკ. დამზღვევ სალაროს ცირკულიარულად ემიმართა ყველა საუბნო სალაროებს, რათა დახმარების გაცემა სწარმოებდეს ყოველდღე და არა რომელიმე განსაზღვრულ დღეებში.

— **დაზღვეულთა უფლება.** ა. | კ. რკ. გზის დამზღ. სალაროს დადგენილებით ყველა დაზღვეულთ ეძლევათ საშუალება გაიტანონ რა ნორმაც სურთ თავიანთი დახმარებისა.

— **დაზღვევის დაფა.** ა. | კ. დამზ. სალაროს დადგენილებით ყოველ საუბნო დამზღვევი სალაროს თვალსაჩინო ადგილას უნდა შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული დაფა, სადაც აღნიშნული იქნება ცნობები დაზღვეულთა შესახებ.

— **ბაკოს უბნისათვის,** ბაკოს უბნის მოსამსახურეთ მიეცათ 2 ადგილი დაბა „ბუზოვნი“-ს სანატორიუმში.

— **ხარჯთ-აღრიცხვა.** ა. | კ. დამზ. სალარო ადგენს ხარჯთაღრიცხვას ყველა სანიტარულ, საკურორტო და ასანატო რიუმო მუშაობისას.

— **ა | კ. რკ. გზ. პროფკავშირმა** ა | კ. **დამზღვევ** სალაროსთან ერთად მოსთხოვა **რკ.** გზის სამმართველოს, რათა ამ უკანასკნელმა შეაკეთოს შენობები ციებ-ცხელებიან ადგილებში.

— **ტფილისის რკინის გზის ამბულატორიაში.** აღნიშნულ ამბულატორიაში ავადმყოფობის მიღება სწარმოებს საღამოობითაც.

— **უმუშევართა არტელები რკინის გზაზე.** უმუშევართა არტელებში შედის 750 კაცი. პირველ რიგში სდგას მანქანების შეკეთების საქმე.

— **პოპულიარული სახელმძღვანელო.** ახლო სანში ა | კ. დამზ. სალარო სცემს პოპულიარულ სახელმძღვანელოს სოციალურ დაზღვევის შესახებ.

— **შესასვენებელ სახლებში.** ა | კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტ-განყოფილებამ კარაკლისის აჯიკენტის და შოველიანის შესასვენებელ სახლებში უკვე მოაწყო სამკითხველოები, საჭირო გაზეთებით და წიგნებით.

— **დრეზინა ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე.** აღძრულია შუამდგომლობა მე-7-დე უბნის გზის სამსახურის უფროსთან, რათა ამ უკანასკნელმა მოაწყოს მატორული დრეზინა საქმიმო დანიშნულებისათვის ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე.

იურიდიული დახმარება ამხანაგ მუშებს

ამხ. სამადაშვილს.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო სახლის ქირა. მე ვცხოვრობ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 125 ვიღებ ჯამაგირს მე-6-ე ხარისხით 26 მანეთს. ჩემი ოთახი შესდგება სულ 66 კვად. არშ. მაქვს ქუხნა, შიგ წყალი, ვსარგებლობ ბალკონით, შესავალი ეზოდან მაქვს. მასთან გთხოვთ გამაგებინოთ სახლის ქირის გარდა ჩვენ მოვალენი ვართ თუ არა, რომ გადავიხადოთ ნაგვის გადასაყრელი, ან და მეეზოვის ფული, ან და ამ უკანასკნელის დასაზღვევი ან და რაიმე შეკეთების ფული, მუდამ ჩხუბი და ლაპარაკი მოგვდის სახლის პატრონსა და ჩვენ ამ საკითხების ირგვლივ.

პასუხი

თითოეულ კვადრატულ არშინზე თქვენ იხდით ერთ კაპეიკს—სულ მთელი ბინისას კი 66 კაპ. ამას გარდა სამზარეულოთი სარგებლობისათვის დამატებით უნდა გადაიხადოთ ბინის ქირის ერთი პროცენტი, და ბალკონისა ერთი პროცენტი.

ნაგვის გატანის, მეეზოვის შრომის ხელფასს და მის დასაზღვევ ფულს იხდის მხოლოდ სახლის პატრონი და არა თქვენ.

სახლის პატრონის მოვალეობაში შედის აგრეთვე სახლისთვის კაპიტალური რემონტის გაკეთება.

თუ კი სახლში თქვენ რაიმე რემონტს გააკეთებთ, გაქვთ სრული უფლება რემონტის ფული დაუჭირონ სახლის პატრონს ბინის ქირის ანგარიშში.

ყოველი მუშა და გლეხი კოოპერატივის წევრი უნდა გახდეს

ლანჩხუთის რაიონულ მთლიან მომხმარებელ საზოგადოებაზედ ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი წერილები იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთებში. ყველა ეს წერილები ერთნაირ ქებით იხსენიებდა ამ კოოპერატივის საქმიანობას და ვერც ერთი მოუდგომლად ვერ აფასებდა მის მოქმედებას. ხსენებულ კოოპერატივის საქმე კი უფრო წაადგა ისეთ დაწესებულებას, რომელიც გარეგნული შეხედულებით მტერს მოჰკლავს, მხოლოთ შინაური მისი მდგომარეობის გათვალისწინებით მოკეთეს გული წაუვა. მართალია ერთი შეხედვით ამ კოოპერატივმა ძლიერ გაშალა ფრთები სხვადასხვა სამეურნეო დარგში, როგორიც არის: მეფუტკრეობა, მეღორეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, —სპორტის ქარხნის აგება და სხვათა შორის მეთევზეობაც კი. ყველა ეს დარგები დღევანდელ პირობებში არის დეფიციტის მომცემი; ასეთი დარგების შექმნა უნდა მომხდარიყო წინასწარი გამოანგარიშებით და აწონდაწონით. აქ ბრის გამგეობის ზედმეტი გატაცება, რომელიც საბეჭისწერო გახდება ჩვენი ნორჩი ორგანიზაციისათვის. იმ ორგანიზაციამ, რომელიც მხოლოთ ეხლა დგება ფეხზედ და მაგრდება ასეთ დარგების შექმნას დიდი სიფრთხილით უნდა მოჰკიდოს ხელი. დღეს, როცა ადგილობრივი გლეხების მოთხოვნილების პირველ საჭიროების საგნების მიწოდების 25 პროც. ვერ დაგვიკმაყოფილებია, ასეთი დარგების შექმნა შეცდომა იყო. რაც შეეხება გაბერილ შტატს და ჯამაგირებს აქაც ბევრი ნაკლია.

მხოლოთ, იქ მომუშავე ამხანაგების თავდადებული მუშაობით, გონივრული და ანგარიშიანი მოქმედებით შესაძლებელია კოოპერატივის არსებობის შენარჩუნება და გლეხების ინტერესების დაცვა ჩარჩების კლანჭებისაგან, ამასთან საჭირო არის სხვა ზომაც. კოოპერატივი ხალხური მასიური ორგანიზაციაა, მისთვის კი საჭიროა, რომ თვითეული წშრომელი ეჩქაროს კოოპერატივის წევრათ გახდომას. მხოლოთ ფართო მასის კოოპერატივის ირგვლივ შემოკრება იხსნის კოოპერატივს გადაშენებისაგან. აი საიკენ უნდა იჩქაროს თვითეულმა ჩვენგანმა.

ლავრენტი კუკულაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 6

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ქ. თბილისი, 1924 წ. ივლისის 26.

1. საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ალექსი გეგეჭკორს მიეცეს ორი თვის შვებულება ა | წ. ივლისის 1-დან სექტემბრის 1-მდე.

2. საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის აღსრულება ამხ. ა. გეგეჭკორის შვებულების დროს დაევალოს ამხ. ა. ჯატიევს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ღოღობერიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: თ. კეშელმაძე.

ბრძანება № 7

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ქ. თბილისი, 1924 წ. ივლისის 26.

1. საქართვ. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ალექსანდრე ფოფიკაშვილს მიეცეს ერთი თვის შვებულება ა | წ. აგვისტოს 1-დან სექტემბრის 1-მდე.

2. საქ. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება ამხ. ა. ფოფიკაშვილის შვებულების დროს დაევალოს ამხ. ალექსანდრე გაშაძეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ღოღობერიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: თ. კეშელმაძე.

პარტიული და საბჭოთა ამბები

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ 28, 29 და 30 ივლისს რაიონის წარმოებებში მოწყობილი იქნება მუშათა მიტინგები, რომლებიც მიძღვნილი იქნება იმპერიალისტური ომის 10 წლის თავისათვის; მიტინგები გაიმართება შემდეგი გეგმის მიხედვით:

29 ივლისი:

1) არსენალი, დღის 2 საათზე, მოხსენება ამხ. **რუბენისა.** 2) მელითონელები, დღის 2 საათზე, მოხსენება ამხ. **კრუგლიკოვისა,** ჩერქეზიშვილის ქ. № 115. 3) ელექტროხე მომუშავეები, დღის 1 საათზე, მოხსენება ამხ. **ნაზარეტიანისა,** ელექტრონის შესახვევი № 3. 4) მკერავლები, საღამოს 6 საათზე, მოხსენება ამხ. **მამულაიშვილისა,** მელიქოვის ქ. № 5. 5) კოლოფების ფაბრიკის მუშები და „ტრამოტი“, დღის 3 საათზე, მოხსენება ამხ. **კუზნეცოვისა,** კამოს ქ. № 28. 6) წყალსადენის სახელოსნო, საღამოს 6 საათზე, მოხსენება ამხ. **რუხაძისა,** კირკის ქ. № 53. 7) სახელმწიფო უნივ. მუშფაკი და პროლეტკულტი, დღის 4 საათზე, მოხსენება ამხ. **ნუცუბიძისა,** სახალხო სახლში. 8) მეტყავეები, საღამოს 8 საათზე, მოხსენება ამხ. **გევორკიანისა,** პლეხანოვის პრ. № 121. 9) მესამე საქარხნო კომიტეტი, დღის 3 საათზე, მოხსენება ამხ. **ეგიკოვისა,** გოცირიძის სახელობის აუდიტორია. 10) საადმშენებლო მუშების კავშირი, საღამოს 8 საათზე, მოხსენება ამხ. **ამოსი.** ჩერქეზიშვილის ქ. № 38. 11) თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა ინსტიტუტი. დღის 3 საათზე, მოხიენება ამხ. **ბალტინისა,** ალექსანდრეს ქ. № 42. 11) საადმშენებლო-სასაეიტარო-ტეხნიკური განყოფილება, საღამოს 6 საათზე, მოხსენება ამხ. **ამოსი,** მადათოვის კუნძული.

30 ივლისს:

1) საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, საღამოს 7 საათზე, მოხსენება ამხ. **ეგიკოვის,** ქარვასლა. 2) ს. მ. უ. ს., საღამოს 7 საათზე, მოხსენება ამხ. **კუზნეცოვისა,** პუშკინის ქ. № 3. 3) ცენტროკავშირი და დაბზღვევი კასა, საღამოს 5 საათზე, მოხსენება ამხ. **სტელმანისა,** მადათოვის ქ. № 11. 4) სახელმწიფო ღვინის ტრესტი, დღის 3 საათზე, მოხსენება ამხ. **ამოსი,** კამოს ქ. № 68. 5) ცეკავშირი, დღის 2 საათზე, მოხსენება ამხ. **მამულაიშვილისა.** 6) „ცენტროტრამოტი“, საღამოს 6 საათზე, მოხსენება ამხ. **ამოსი.**

2 აგვისტოს:

1) ფაბრიკა „პროლეტარი“, დილის 11 საათზე, მოხსენება ამხ. **გევორკიანისა.**

ამას გარდა რაიონის კლუბებში მოწყობილი იქნება საღამოები (საკონცერტო განყ., წარმოდგენა და სხვა), რომლებიც მიძღვნილი იქნება იმპერიალისტური ომის 10 წლის თავისათვის.

1 აგვისტოს გარნიზონის კლუბში, საღამოს 8 საათზე მოხსენებები ამხ. ამხ. **კრუმლიკოვისა და გევორდიანისა.**

2 აგვისტოს გარნიზონის კლუბში, საღამოს 8 საათზე, მოხსენებები ამხ. ამხ. **სტგლმანისა და გევორკიანისა.**

2 აგვისტოს ჩოდრიშვილის სახლობის კლუბში, საღამოს 8 საათზე, მოხსენებები ამხ. ამხ. **მაზარაძისა და კუზნეცოვისა.**

2 აგვისტოს სუხიშვილის სახლობის კლუბში (წყალსადენი), საღამოს 7 ნახევარ საათზე, მოხსენება ამხ. **მამულაიშვილისა.**

3 აგვისტოს მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღამოს 8 საათზე, მოხსენებები ამხ. ამხ. **ელიავასი და რუბენისა.**

შესვლა ყველა საღამოებზე თავისუფალია.

მდივანის მაგიერ **მელაძე.**

სააგ.-საპრ. განყოფ. გამგე: **ვარდოიანი.**

— დღეს 29 ივლისს საღამოს 6 საათზე **ქალაქის აღმასკომის დარბაზში** შესდგება სადელეგატო კრების თათბირი. ქალაქის რაიონის, დიასახლისების და ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფ. გამგე ოდიანი.

განცხადებები

ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოთ

ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა და ექსპედიცია აცხადებს

რომ, რათა ხელისმომწერლებს გაუადვილდეს გაზეთების გამოწერა და ასცდენ ზოგიერთ ხარჯებს, ამისთვის ქალ. **ქუთაისში ტყავლაძეს, ბათუმში** მთავარ პოლიტგანათლების წიგნის მაღაზიაში **მეკავიას, ფოთში** კონტრაგენტს **ქადეიშვილს, ხონში გალდაბაძეს** და **სამტრედიაში ახობაძეს** მინდობილი აქვთ აწარმოონ ხელის მოწერა როგორც კოლექტიური, ისე ერთეული გაზეთ: „კომუნისტ“-ზედ, „მუშა“-ზე, „მიწის მუშა“-ზე და მოსკოვის გაზეთებზე.

ხელისმომწერლებს ვთხოვთ ადრევე შეუდგენ გაზეთების გამოწერას, რომ საშუალება დარჩეს კანტორა-ექსპედიციას თავის დროზე მიაწოდოს გაზეთები. ამასთანავე მისამართები უნდა იქნას სწორედ და გარკვევით აღნიშნული. პროვინციაში კი ნაჩვენები უნდა იყოს მისამართებში უახლოესი ფოსტის დაწესებულება.

მთავარი კანტორის და ექსპედიციის გამგე: **ვ. ბოლქვაძე.**

5—4

საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა--ექსპედიცია

აუწყებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომ ხელისმოწერას ღებულობს მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზედ და პერიოდულ გამოცემებზე. კანტორა პასუხისმგებელია ხელის მომწერლებისათვის თავის დროზედ მიწოდებაში. მსურველებმა უნდა გამოიწერონ არა უგვიანეს თვის 28 რიცხვისა.

ხეთისმოწერა ყოველ ოღე დილის 9—2 საათამდე. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24 მეორე სართული.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე **ვ. ბოლქვაძე**

5—5

გამოვიდა ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“

№ 7, 8

და იყიდება ყველგან როგორც თბილისში, ისე პროვინციებში რკ. გზ. კიოსკებში

ხელისმომწერთა საყურადღებოთ:

„რევოლიუციის მატიანე“-ზე ხელისმოწერა დაიწყო. ვთხოვთ ხელისმომწერლებს გადმოგზავნონ სია და ფული. ნისიათ ჟურნალი არავის გაეგზავნება. ჟურნალის ცალკე ნომერი ღირს ერთი მანეთი კოლექტიურათ, მუშებისათვის 80 კაპ.

ცეკას გამ. მთავარი კანტორის და ექს. გამგე **ი. ბოლქვაძე.**

ა.-კ. რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ სამეფო—მატერიალურ განყოფილების შენობაში (თბილისი, ვაგზლის ქუჩა № 1) 1924 წლის 12 აგვისტოს 12 საათზე შესდგება წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

ყველა იმ სისტემის საწერი მანქანებისა და არითმომეტრის შესაკეთებელი მუშაობის გასაცემად, რომელიც ქალაქ თბილისის სამმართველოს შენობებში არის მოთავსებული.

ხელშეკრულება დაიდება ერთი წლის ვადით.

დანიშნული დროისათვის დაბეჭდილ პაკეტებში წარმოდგენილი უნდა იქნეს მუშობის ფასი და პირობები.

ფასები უნდა იყოს ნაჩვენები მანქანის შეკეთებისათვის ცალკე და მისი ნაწილების შეკეთებისათვის ცალკე.

პაკეტების გახსნიდან ორი დღის შემდეგ სახელდობრ 14 აგვისტოს დილის 10 საათზე **იქვე დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა,** რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ განცხადების შემომტანი.

შემოტანილი განცხადებებს დაკრული უნდა ექნეს ერთი მანეთის საეერბო მარკა და ამავე დროს თან უნდა ახლდეს ქვითარი რ | გ. სალაროში 100 მანეთის შეტანის **შესახებ იჯარის წესიერი შესრულების უზრუნველსაყოფად. საწინდარი უკან დაუბრუნდება მათ, ვისაც იჯარის აღება არ ხვდება,** ხოლო ხელშეკრულების დამდების საწინდარი დარჩება პირობების საბოლოო შესრულებამდე.

ცნობების მიღება შეიძლება სამნეო-მატერიალურ განყოფილებაში (მომარაგების ნაწილი) ყოველდღიურად სამუშაო დღეებში.

ნ. 1364 1—1

საააქციონერო საზ. თბილისის განყოფილება „აპტო“-ს

ამით აცხადებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატულ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ჩვენი სახელით ცრუ აგენტების გამოსვლის თავიდან ასაცილებლად, დაურიგეთ ჩვენ სავაჭრო აგენტებს სათანადო მოწმობები ბეჭდის დასმით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ 5 ივლისამდე გაცემული მოწმობები გაუქმებულად ითვლება.

1365 1—1 **საგენტოს გამგე—ბ. ხაჩიევა.**

თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო

(ე. მ. სი) ჭყიდის ყინულს ყოველდღე დილის 6 საათიდან ღღის 11 საათამდე ფუთს 75 კაპეიკათ.

მისამართი: ლენინის ქ. № 3 ყოფ. მელიქ-აზარიანცის სახლი მე-11 საბჭ. ელსადგური.

ელექტ. მომწესრიგებელი სამმართვ. გამგ. მაგიერ **უნაფქოშვილი.**

3—2 ნ. № 1360

წინადადება ეძლევა ყველა სავაჭრო-მრეწველობის ორგანიზაციებს

რომლებიც ჭიანურობენ-იდგმენ

ნიჟნი-ნოვგოროდის გაზრობაზე,

გატარდენ რეგისტრაციაში ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში; ის ორგანიზაციები, რომლებიც აზერბეიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე მუშაობენ, რეგისტრაციაში უნდა გატარდენ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულებთან.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

ნ. 1—1.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფოს გამომცემლობა

ამით აცხადებს ლენინის თხუზულებებზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ უკვე გამოვიდა და ურიგდება ხელის მომწერლებს სამი წიგნი.

„ეროვნული საკითხი“, „მეშვიდეობის სენი კომუნიზმში“ და „წერილები და სიტყვები“.

წიგნების მიღება შეიძლება სახელგამის წიგნის მაღაზიაში.

რუსთაველის პროსპექტი № 11. ტელეფ. 3—89.

2—2 ნ. № 1356.

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

ტყავის ტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 30 ივლისს უადღის 12 საათზე

ტრესტის ტყავის ქარხანაში № 1

(კომუნალური ქ. 98)

მოხდება ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ცემენტ—ბეტონის იატაკის 60 კვადრატ. საჟენი მოედნის და ცემენტი—ბეტონიანი 15 ბარეების შესაკეთებლად.

მასალა უნდა იქნეს მოიჯარისა

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ტრესტის ცენტ. სამმართველოში (კომუნალური ქ. № 82)

2—2 ნ. 1363 **დირექცია**

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანაშვილის სახელოგის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორგანოვის ქ. № 20. 126—25—15

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ქლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეზხპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—5

დავკარგე ამ.-კავ რკინისგზათა კოოპერატივიდან ქალ. ბაქოში მიღებული მოწმობა მეფურნე მიხეილ ხვედელიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1587 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მ—გ. მილიციის უფროსის მიერ სიმონ ლეონის ძე გელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1586 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული ოზურგეთის სამხედრო მაგიდიდან მიხაკო ონსტანტინეს ძე დოლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1588 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული მოწმობა გაცემული არჩილ საგანელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1585 1—1

დავკარგე პარტიული ბილეთი № 4939999 და მანდატი ვაჭრობის საწარმოებლად, გაცემული გიორგი ონოფრეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1583 1—1

დავკარგე დამზღვევთ ფურცელი № 1072 მოცემული შრომის ბირეისგან მასწავლებელ ბიქტორ გრიგოლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1584 1—1

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა

ამით, აცხადებს კოოპერატულ და სამეურნეო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მას ესაჭიროება საქართველოს და ლენინგრადის სახელგამის გამოცემათა (სახელმძღვანელოები, მარქსისტული ლიტერატურა, ბელეტრისტიკა, სამეცნიერო წიგნები და სხვ.) გასავრცელებლად

კონტრაგენტები

მცხეთაში, დუშეთში, თელავში, გორში, გორჯომში, ხაშურში, ახალციხეში, ახალქალაქში, თიანეთში, ზესტაფონში, ბელაგორში, შორაპანში, ჭიათურაში, ტყიბულში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, სუფსაში, ქობულეთში, გალდათში, ხონში, ცაგერში, ფოთში, ჩოხატაურში, სოხუმში და ბაქოში (აზერბ. რესპუბლ.). პირობები სრულიად შეღავათიანი.

მსურველთ შეუძლიათ მიიღონ დაწესრილებითი განმარტებანი და გაეცნონ პირობას საქართველოს საახელგამის სამმართველოში ყოველდღე დილის 8 საათიდან 2 საათამდე. სათანადო განცხადება უნდა შემოტანილ იქნეს 15 მარიამობისთვემდე.

მისამართი: თბილისი, ქეცხოველის ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქ.) № 5, განკ. კომისარ. ბინა. საქ. **სახელმწ. გამომცემლობა,**

ტელეფონი № 6—45.

ნ. 1355 2—2.

ტირაჟი—12,500

სტამბა „ზარია ეოსტოკისა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.